



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

შპს ალტე უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ერიკ ენდი გიბსი, ხარისხის უზრუნველყოფის დამოუკიდებელი ექსპერტი, გაერთიანებული სამეფო.

თანა-თავმჯდომარე: ამჯად მოჰ ისა ქანდილი, აკადემიური აკრედიტაციის კომისია, არაბთა გაერთიანებული საამიროები

წევრები:

ირენა მელუა, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

ეკატერინე ფიფია, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

დავით თოფურია, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

ქეთევან კანკავა, (დამსაქმებელი ექსპერტი) შპს მეგალაბი

მარიამ გორგოძე, შპს სულხან - საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო (სტუდენტი ექსპერტი)

თბილისი

2024

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

აღტე უნივერსიტეტი, რომელიც მდებარეობს თბილისში, საქართველოში, დაარსდა 2002 წელს, ხოლო 2021 წელს განხორციელდა დაწესებულების რეზრენდინგი. უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამას და მასპინძლობს სტუდენტებს 30 - ზე მეტი ქვეყნიდან. უახლესი მონაცემებით, აქტიური სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 2,106 - ს. აღნიშნულიდან 1,245 საერთაშორისო სტუდენტია, რაც ასახავს საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვაზე ორიენტაციას.

უნივერსიტეტი შედგება ოთხი სკოლისგან:

- ბიზნესის საერთაშორისო სკოლა;
- სამართლის და სოციალური მეცნიერებების საერთაშორისო სკოლა;
- მედიცინის საერთაშორისო სკოლა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სკოლა.

სტუდენტების განაწილება სკოლების მიხედვით შემდეგნაირია:

- მედიცინის საერთაშორისო სკოლა: 1,254 სტუდენტი. ეს მას ხდის ყველაზე მსხვილ ფაკულტეტად და იზიდავს საერთაშორისო სტუდენტების მნიშვნელოვან რაოდენობას.
- სამართლის და სოციალური მეცნიერებების სკოლა: 755 სტუდენტი.
- სამაგისტრო პროგრამები: სხვადასხვა დისციპლინებზე ჩარიცხული 69 სტუდენტი.
- ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები (მედიცინის გარდა): 28 სტუდენტი.

აღტე უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო მისიის მხარდაჭერის მიზნით მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა რესურსებში. კამპუსის ფართობი შეადგენს 12865 კვ. მ - ს და უნივერსიტეტი განაგრძობს თავისი ინფრასტრუქტურის გაფართოებას, მათ შორის ივანე ბოკერიას საავადმყოფოსთან პარტნიორობით კლინიკური სწავლების ბაზის განვითარებას. ფინანსური თვალსაზრისით, დაწესებულებამ მიაღწია მნიშვნელოვან ზრდას, 2023 - 2024 აკადემიური წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენს 19.9 მილიონ ლარს.

აკადემიური განვითარების გარდა, აღტე უნივერსიტეტს შეაქვს წვლილი საზოგადოების განვითარებაში ისეთი ინიციატივების მეშვეობით, როგორიც არის კარიერული კონსულტაცია, უწყვეტი განათლების პროგრამები და ინოვაციების მხარდაჭერა. აღნიშნული ძალისხმევა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას მოამზადოს სტუდენტები გლობალური დასაქმებისთვის და უპასუხოს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოწვევებს გამოყენებითი კვლევების და საზოგადოებრივი ჩართულობის გზით.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფს გაეგზავნა დაწესებულებაში ვიზიტამდე/წინასწარ. ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა სტანდარტები, რომლებიც უკეთ შეესაბამებოდა მათ გამოცდილებას. ჯგუფის თითოეულმა წევრმა გადახედა დოკუმენტაციას და შეარჩია შესასწავლი სფეროები 4 - 7 სექტემბრის სამდღიანი ვიზიტისთვის.

ვიზიტის განმავლობაში, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც საჭირო იყო დამატებითი ინფორმაციის და მტკიცებულებების მისაღებად და აღნიშნული დოკუმენტები მოთხოვნილ იქნა ვიზიტის დასრულებამდე. ვიზიტის განმავლობაში ჯგუფის ყველა წევრი დაესწრო შეხვედრებს პროგრამის ძირითად პერსონალთან განხორციელებულ შეხვედრებს, მათ შორის: პრეზიდენტთან, ვიცე - პრეზიდენტებთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან, დირექტორთა საბჭოსთან, აკადემიურ საბჭოსთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან,

ფინანსურ დეპარტამენტთან, სტუდენტთა გამოცდილების დეპარტამენტთან, ადამიანური რესურსების განვითარების სამსახურთან, იურიდიულ სამსახურთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, დეკანებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა პრაქტიკის ობიექტები. გამართა გასაუბრება ორ კლინიკურ სივრცეში, კვლევით ობიექტებზე, ბიბლიოთეკაში და სტუდენტურ სივრცეებში. ექსპერტთა ჯგუფმა გამოხატა მადლიერება კარგად შედგენილი თვითშეფასების ანგარიშის და მკაფიოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციისთვის, ისევე როგორც კარგად განხორციელებული ვიზიტისთვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს შეთავაზებული ყოვლისმომცველი მონიტორინგის და შეფასების სისტემის სრული განხორციელება, რომელიც თვალს ადევნებს სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული ძირითადი შესრულების ინდიკატორების პროგრესს და ითვალისწინებს რეგულარულ განხილვებს, წლიურ ანგარიშებს და კორექტირებებს, რათა დროთა განმავლობაში უზრუნველყოს სტრატეგიული მიზნების რელევანტურობა და მიღწევადობა. 1.2
2. რეკომენდებულია, ალტე უნივერსიტეტმა უფრო ძლიერი აქცენტი გააკეთოს კვლევასა და ინოვაციებზე, ქვეყანაში წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩამოყალიბების მიზნის მისაღწევად. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს უფრო ამბიციური კვლევითი მიზნების დასახვას, კვლევების დაფინანსების უზრუნველყოფას და საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან პარტნიორობის ჩამოყალიბებას. 1.2
3. რეკომენდებულია, გაძლიერდეს აკადემიური გადაწყვეტილებების მიღების დამოუკიდებლობა ისეთი ზომების განხორციელებით, რომლებიც შეამცირებს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტს პრეზიდენტის როლსა და აკადემიურ საბჭოში მის უშუალო ჩართულობას შორის. 2.1
4. რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის ციკლის დახურვის უზრუნველყოფა ანგარიშებით, კერძოდ, კონკრეტული აკადემიური წლის ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშში წინა წლის გასაუმჯობესებელი მხარეების გადასაჭრელად გაწეული სამუშაოების ეფექტურობის ასახვა. 3.1
5. რეკომენდებულია, ინგლისურენოვანი მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამების სწავლის შედეგების გადახედვა ტექნიკური ასპექტის და პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით 3.2
6. რეკომენდებულია, ინგლისურენოვანი მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამების მიზნების გადახედვა პროგრამის ფართო ხასიათის დაფარვის მიზნით, მათ შორის სწავლება - სწავლის, გავრცელების და საზოგადოებრივი სერვისების ჩათვლით. 3.2
7. რეკომენდებულია, მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის მე - 12 სემესტრში დაინერგოს სანდო პროფესიული აქტივობების (EPAs) შეფასება, როგორც კლინიკურ როტაციებში სტუდენტების მიღწევების გაზომვის უმთავრესი საშუალება. 3.2
8. რეკომენდებულია, სტომატოლოგიური ფანტომის თავები განთავსდეს უფრო დიდ სივრცეში და უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული თავების საკმარისი რაოდენობა. ასევე, შეიზღუდოს თითოეულ ფანტომზე მომუშავე სტუდენტების რაოდენობა ერთ სტუდენტამდე კონკრეტულ დროში, რომელსაც აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაეხმაროს სხვა სტუდენტი. 3.2
9. რეკომენდებულია, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) და მედიცინის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ინგლისურენოვანი კატალოგების უზრუნველყოფა. 3.2

10. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურ პერსონალმა შეძლონ ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია (ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს პროგრამის სტუდენტების სწავლების ენას). 3.2
11. რეკომენდებულია, სწავლის შედეგები განხილული იყოს როგორც სასწავლო პროცესის მთავარი მამოძრავებელი ძალა და მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის მათი წარდგენა გაზომვადი მიზნის სახით. 3.3
12. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდების რეალისტურად დაგეგმვა და პრაქტიკაში გამოყენება. 3.3
13. რეკომენდებულია, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით სწავლის შედეგების შეფასება იყოს უწყვეტი პროცესი და არ გადაიდოს 2-3 წლით. 3.3
14. რეკომენდებულია, მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაში კრიტიკული უნარების სწავლის შედეგების გაზომვის სამიზნე დონე იყოს 65%-ზე მაღალი. 3.3
15. რეკომენდებულია, კვლევითი პროფილის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს მკაფიო, დეტალური აფილირების პოლიტიკის ჩამოყალიბება, კვლევის და გამოქვეყნებების აქტივობებისთვის სპეციფიკური წამახალისებელი მექანიზმებით. 4.1
16. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აქტიურად გაზარდოს აფილირებული პერსონალის რაოდენობა აკადემიური შედეგების გასაძლიერებლად, აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად და ფართო აკადემიურ საზოგადოებაში რეპუტაციის ასამაღლებლად. 4.1
17. რეკომენდებულია, რომ პერსონალის ყველა წევრს შეეძლოს პროგრამის სასწავლო ენაზე კომუნიკაცია. 4.1
18. რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის შერჩევისას, დოქტორის ხარისხის და გამოცდილების გარდა, მხედველობაში იყოს მიღებული პუბლიკაციების ჩამონათვალი და აკადემიურ საზოგადოებაში შეტანილი წვლილი, როგორც პოზიციისთვის თითოეული კანდიდატის შესაბამისობის ძირითადი მაჩვენებელი. 4.2
19. რეკომენდებულია, დაინერგოს აქტივობები და მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების ინფორმირებას სკოლის საბჭოში და აკადემიურ საბჭოში მონაწილეობის უფლების, მათ შორის არჩევნების პროცედურების და აღნიშნული უფლების მნიშვნელობის შესახებ. 5.1
20. რეკომენდებულია, საერთაშორისო პარტნიორობის და გაცვლითი პროგრამების რაოდენობის გაზრდის და გამრავალფეროვნების გზით, არსებული პროექტების მიღმა, გაიზარდოს სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელმისაწვდომობა. 5.2
21. რეკომენდებულია, საერთაშორისო კვლევების მხარდაჭერის გაძლიერება, საერთაშორისო კვლევითი პროექტების და თანამშრომლობის დაფინანსების გაფართოებით, მათ შორის გრანტების გამოყოფა, რომლებიც სპეციალურად მიმართული იქნება გლობალური პარტნიორობის ხელშეწყობაზე. 6.1
22. რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის განვითარების ინიციატივები და განხორციელდეს უფრო მძლავრი პროფესიული განვითარების პროგრამები, რომლებიც ორიენტირებული იქნება აკადემიური პერსონალის კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერებაზე. 6.1

23. რეკომენდებულია, ყველა სასწავლო სივრცეში უზრუნველყოფილი იყოს სტანდარტული ზომის სკამები ზრდასრულებისთვის. 7.1
24. რეკომენდებულია, ყველა სასწავლო სივრცეში უზრუნველყოფილი იყოს გაგრილების სისტემა. 7.1
25. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ნებისმიერ ერთეულში, მათ შორის საავადმყოფოს სივრცეში წინასწარ დაიგეგმოს სარემონტო სამუშაოები, სასწავლო პროცესის პერიოდების გათვალისწინებით და მათთან გადაფარვის გარეშე. 7.1
26. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე გამოქვეყნდეს ინფორმაცია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესახებ. 7.3

რჩევები:

1. სასურველია, მისიის გაძლიერება მასში მკაფიო, გაზომვადი აკადემიური მიზნების გათვალისწინებით, რომლებიც ასახავს უნივერსიტეტის მისწრაფებებს. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მიზნებს, რომლებიც უკავშირდება სტუდენტთა კმაყოფილებას, საერთაშორისო თანამშრომლობას, დასაქმების მაჩვენებლებს, კვლევით შედეგებს და ინოვაციურ საზომებს. 1.1
2. სასურველია, მეტი აქცენტი გაკეთდეს კვლევით სრულყოფილებაზე, კვლევითი პროდუქტიულობის, აკადემიური პერსონალის გამოქვეყნებების და საერთაშორისო თანამშრომლობის კონკრეტული მიზნების დასახვით. 1.1
3. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს რესურსების განაწილების დეტალური გეგმა, რომელიც თითოეულ სტრატეგიულ მიზანთან დააკავშირებს ფინანსურ, ტექნოლოგიურ და ადამიანურ რესურსებს. აღნიშნული უზრუნველყოფს სიცხადეს იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს დაწესებულება თავისი მიზნების მიღწევას და რესურსების ეფექტურ განაწილებას. 1.2
4. სასურველია, საბჭოს და აკადემიური საბჭოს სხდომებში გაიზარდოს აკადემიური მიმართულების ვიცე - პრეზიდენტის ჩართულობა, იმისათვის, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური პერსპექტივების სათანადოდ წარმოდგენა. 2.1
5. სასურველია, საქმიანობების და შეფასების მექანიზმების, სტრატეგიული დოკუმენტების და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გადახედვა და შესაბამისობაში მოყვანა თანმიმდევრულობის და ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით. 2.1
6. სასურველია, საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერება და გამსვლელი და შემომსვლელი სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის მობილობის შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. 2.1
7. სასურველია, ინტერნაციონალიზაციის შემდგომი გაძლიერება უფრო სპეციფიკური, მიზნობრივი ქმედებების დანერგვით, რომლებიც უკავშირდება კვლევას, საერთაშორისო აკრედიტაციებს, ერთობლივ პროგრამებს და სხვა ინიციატივებს უნივერსიტეტის სხვადასხვა დონეზე; აღნიშნული ძალისხმევების გაძლიერებით ფართო ინსტიტუციური მიზნების მხარდაჭერა. 2.1
8. სასურველია, ხარისხის ანგარიშების იმგვარად ფორმალიზება, რომ მკაფიოდ გაიმიჯნოს, თუ რა არის უკვე გამოსწორებული და რა საკითხები უნდა გადაიჭრას კურსის, პროგრამის და ინსტიტუციის დონეზე. 2.2
9. სასურველია, აკადემიურ პერსონალს მოეთხოვებოდეს სასწავლო კურსის ეფექტურობის ანგარიშების მომზადება, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელებს პროგრამის ეფექტურობის ანგარიშების მომზადება, რაც სისტემურად უზრუნველყოფს ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშის მომზადებას. 3.1
10. სასურველია, სტომატოლოგიის პროგრამის სასწავლო გეგმაში მკაფიოდ იყოს ინიცირებული ციფრული სტომატოლოგიის ასპექტები. 3.2
11. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ახლად დაარსებული სტუდენტთა ომბუდსმენის ინსტიტუტის და მისი ფუნქციების შესახებ ცნობიერების ამაღლება, კერძოდ, განახორციელოს ყოვლისმომცველი საინფორმაციო კამპანია სტუდენტთა ომბუდსმენის როლის და ფუნქციების შესახებ სტუდენტების ინფორმირების მიზნით. 5.1

12. სასურველია, ალტე უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მიზნობრივი სტრატეგიები კვალიფიკაციასა და დასაქმებას შორის შესაბამისობის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით იმ პროგრამებში, რომლებშიც დაბალია დარგის შესაბამისი დასაქმების მაჩვენებლები, ასევე გააძლიეროს კარიერული მხარდაჭერის სერვისები, დარგის შესაბამის დასაქმების შესაძლებლობებზე კონკრეტული აქცენტის გაკეთებით. 5.2

13. სასურველია, ალტე უნივერსიტეტმა შეაგროვოს სტატისტიკური მონაცემები როგორც შეთავაზებული საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების, ასევე აღნიშნულ პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის შესახებ, განახორციელოს ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძვლიანი ანალიზი, გამოავლინოს გასაუმჯობესებელი სფეროები და განახორციელოს მიზნობრივი ღონისძიებები ამ სფეროში არსებული გამოწვევების დასაძლევად და შედეგების გასაუმჯობესებლად. 5.2

14. სასურველია, აკადემიური პერსონალის ჩართულობით ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით ერთობლივი კვლევითი პროექტების წახალისება და მხარდაჭერა. 6.2

15. სასურველია, კვლევით აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის გაძლიერება და თითოეული სტუდენტის საგანმანათლებლო გამოცდილების გასამდიდრებლად და აკადემიური განვითარების ხელშესაწყობად საერთაშორისო შესაძლებლობების გამოყენება. 6.2

16. სასურველია, ციფრული რესურსების და წვდომის გაფართოება დამატებით ელექტრონულ საბიბლიოთეკო პლატფორმებთან პარტნიორობით, როგორც არის JSTOR ან EBSCO, რაც სასარგებლო იქნება აკადემიური დისციპლინების უფრო ფართო სპექტრისთვის. 7.2

17. სასურველია, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მუდმივი განახლება. 7.3

18. სასურველია, ადამიანური რესურსების მართვის და სტრატეგიული მონიტორინგის სრულმასშტაბიანი სისტემის დანერგვა. 7.3

საუკეთესო პრაქტიკები

- არ არის მითითებული

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტები 1, 2 და 6 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 4, 5 და 7 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, სტანდარტი 3 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐

2.	უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☒	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☒	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☒	☐
4	უსდ-ის პერსონალი	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6	კვლევა, განვითარება ან / და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

● ინფორმაცია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების შესახებ:

რეკომენდაცია:

1.2 სტრატეგიული განვითარება

1. რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს შეთავაზებული ყოვლისმომცველი მონიტორინგის და შეფასების სისტემის სრული განხორციელება, რომელიც თვალს ადევნებს სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული ძირითადი შესრულების ინდიკატორების პროგრესს და ითვალისწინებს რეგულარულ განხილვებს, წლიურ ანგარიშებს და კორექტირებებს, რათა დროთა განმავლობაში უზრუნველყოს სტრატეგიული მიზნების რელევანტურობა და მიღწევადობა. 1.2

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

ალტე უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა ახლად შემუშავებულია, მკაფიოდ განსაზღვრული მეთოდოლოგიით და მონიტორინგისა და შეფასების სტრუქტურირებული მიდგომით. ჩვენი „სტრატეგიული

და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმები“ (იხ. დანართი N1.1.) მოიცავს სტრუქტურირებულ ჩარჩოს, ჩვენი სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროგრესის მონიტორინგისთვის. ეს მეთოდოლოგია სრულ შესაბამისობაშია ა ჩვენს მიდგომასთან სტრატეგიული მენეჯმენტის გამჭვირვალობისა და ეფექტურობის მიმართ.

KPI-ებთან მიმართებით პროგრესის მონიტორინგისა და შეფასების გამართული სისტემის უზრუნველსაყოფად, დირექტორთა საბჭო და სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის კომიტეტი ხელმძღვანელობენ კონკრეტული პროცედურით შესრულების დინამიკის შესაფასებლად (იხ. ადგილზე ვიზიტის დროს დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტები, დანართი N8). კერძოდ, სკოლები და დეპარტამენტები ყოველ სემესტრში KPI- ის შესრულების შესახებ ანგარიშს წარუდგენენ დირექტორთა საბჭოს, რომელიც თავის მხრივ განიხილავს და აფასებს პროგრესს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან მიმართებით. ამის შემდგომ, დირექტორთა საბჭო ამზადებს შემაჯამებელ ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის კომიტეტს, ეს უკანასკნელი კი განიხილავს ანგარიშს, აფასებს მას და საბოლოო ანგარიშს წარუდგენს პარტნიორთა კრებას.

გარდა ამისა, Spider Impact-ის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა (იხ. ადგილზე ვიზიტის დროს დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტები, დანართი N61) კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენი მონიტორინგის პროცესს, რაც საშუალებას გვაძლევს ეფექტურად ვადევნოთ თვალი KPI-ებს და საჭიროებისამებრ შევიტანოთ ცვლილებები . Spider Impact-ის სრული დანერგვა, ალტე უნივერსიტეტს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეფექტურ მონიტორინგსა და სტრატეგიული მიზნების მიღწევაში. მონაცემთა ერთიან პლატფორმაში კონსოლიდირებით, პროგრამა იძლევა KPI-ებზე რეალურ დროში თვალყურის მიდევნების საშუალებას, რაც ხელს შეწყობს ინფორმირებული გადაწყვეტილების დროულად მიღებასა და საჭირო ცვლილებების პროაქტიულად განხორციელებას. ეს ინტეგრაცია აძლიერებს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას დეპარტამენტებში, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების მიერ განხორციელებული საქმიანობების უნივერსიტეტის მიზნებთან მუდმივ თანხვედრაში ყოფნას.

მიგვაჩნია, რომ ეს რეკომენდაცია უფრო მეტად უნდა მოიაზრებოდეს როგორც რჩევა, რომ დავხვეწოთ უკვე არსებული ძლიერი სისტემა და არა როგორც აუცილებელი მაკორექტირებელი მოქმედება.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

დაწესებულებას აქვს თავისი სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის გეგმა და განზრახული აქვს ამისთვის კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა. ეს დასაფასებელია; თუმცა გეგმა და განზრახვა არ არის იგივე, რაც ფაქტობრივად განხორციელებული მონიტორინგი. ექსპერტთა ჯგუფმა ამ უკანასკნელის მტკიცებულება ვერ დაინახა. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია:

2. რეკომენდებულია, ალტე უნივერსიტეტმა უფრო ძლიერი აქცენტი გააკეთოს კვლევისა და ინოვაციებზე, ქვეყანაში წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩამოყალიბების მიზნის მისაღწევად. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს უფრო ამბიციური კვლევითი მიზნების დასახვას, კვლევების დაფინანსების უზრუნველყოფას და საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან პარტნიორობის ჩამოყალიბებას. 1.2

დწესებულების არგუმენტრებულ პოზიცია:

როგორც გამოყენებით კვლევებზე ორიენტირებული სასწავლო უნივერსიტეტი, მოხარულები ვართ, რომ ექსპერტთა პანელმა პოზიტიურად შეაფასა ჩვენი კვლევითი მიმართულებამათ ანგარიშში. ჩვენი მისია პრიორიტეტს ანიჭებს პრაქტიკულ, გამოყენებით კვლევას, რომელიც პირდაპირ სარგებელს მოუტანს სტუდენტებს და შეესაბამება რელევანტური ინდუსტრიების საჭიროებებს.

ეს მისიით ნაკისრი ვალდებულება ინტეგრირებულია ჩვენს პროგრამებში და მხარდაჭერილია ინოვაციებისა და მეწარმეობის ცენტრის მიერ, რომელიც წარმართავს ინტერდისციპლინურ პროექტებს და ხელს უწყობს პრაქტიკულ კვლევით მიდგომას. მაგალითისათვის შეგვიძლია ვახსენოთ, რომ ალტე უნივერსიტეტი, საერთაშორისო პარტნიორთან, შვედეთის აგრარული მეცნიერებების უნივერსიტეტთან ერთად (იხილეთ თვითშეფასების ანგარიშში), ჩართულია პროექტში „ინოვაციური აგრარული ტექნოლოგიების ინტეგრირება საგანმანათლებლო პროგრამებში“, რომელიც დაფინანსებულია კონკურენტული ინოვაციების ფონდის მიერ (CIF).

ამასთან ერთად, უნივერსიტეტი ახლახანს, ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის (EIT) ეგიდით შეუერთდა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის კონსორციუმს. ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის (EIT) ეს ინიციატივა მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის კვლევის პოპულარიზაციას, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის მხარდაჭერას და ევროპულ უნივერსიტეტებსა და ინდუსტრიის პარტნიორებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას. ალტე უნივერსიტეტის სამი სკოლა - მედიცინის საერთაშორისო სკოლა, ინფორმაციული ტექნოლოგიების სკოლა და ბიზნესის სკოლა - აქტიურად არის ჩართული ამ კონსორციუმის პროექტში. ალტე უნივერსიტეტი ასევე აფასებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას, რომ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს კვლევასა და ინოვაციებს, როგორც ჩვენი მისწრაფების ნაწილს გავხდეთ წამყვანი ინსტიტუტია რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამას ვუყურებთ, როგორც სასარგებლო რჩევას, გვსურს აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე მნიშვნელოვანი ძალისხმევა უკვე მიმართულია ჩვენი კვლევითი პროფილის გასაძლიერებლად. ჩვენ გავზარდეთ კვლევისთვის გამოყოფილი შიდა დაფინანსება, რომელიც ამჟამად შეადგენს 753 937 ლარს, რაც ადასტურებს უნივერსიტეტის მისწრაფებას კვლევების განვითარების მიმართულებით. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპონენტი 6.1.

საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით, უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად გააფართოვა პარტნიორობის ქსელი, ბოლო სამი თვის განმავლობაში გაორმაგდა პარტნიორების რაოდენობა - 20- დან 40-მდე და ეს ქსელი კვლავაც აგრძელებს გაფართოებას. ეს პარტნიორობები იძლევა აკადემიური და კულტურული გაცვლის, ერთობლივი პროექტებისა და კვლევითი ინიციატივების განხორციელების საშუალებას ისეთი ქვეყნების გამორჩეულ ინსტიტუტებთან, როგორიცაა ჩეხეთი, ხორვატია, ინდოეთი, ჩინეთი, თურქეთი, გერმანია, პორტუგალია, ესპანეთი, პოლონეთი, ლიეტუვა, ბრაზილია და სხვა.

გარდა ამისა, ალტე უნივერსიტეტი აქტიურად უერთდება გამორჩეულ საერთაშორისო ასოციაციებს. 2024 წლის 6 ნოემბერს, ალტე უნივერსიტეტი გახდა პირველი კერძო უნივერსიტეტი საქართველოდან, რომელიც შეუერთდა ENAI - აკადემიური კეთილსინდისიერების ევროპულ ქსელს ინსტიტუციის კვლევითი მიმართულების გასაძლიერებლად ხარისხზე, პროფესიონალიზმზე, ეთიკასა და კეთილსინდისიერებაზე ორიენტირებულობით.

ჩვენ განვიხილავთ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას, როგორც ღირებულ რჩევას კვლევისა და ინოვაციების უკვე არსებული მყარი საფუძვლის კიდევ უფრო მეტად გასაძლიერებლად.

იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილ რეკომენდაციებს ჩვენ უფრო მეტად განვიხილავთ როგორც რჩევებს, მიგვაჩნია, რომ 1.2. კომპონენტი შეიძლება შეფასდეს, როგორც მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში მყოფი.

გარდა ამისა, გვსურს მივუთითოთ ტექნიკურ უზუსტობაზე შეფასების სქემაში - სტანდარტი შეფასებული უნდა იყოს როგორც სრულ შესაბამისობაში მყოფი, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი კომპონენტი შეფასებულია როგორც – მეტწილად შესაბამისობაში მყოფი, ხოლო მეორე კომპონენტი შეფასებულია როგორც – სრულად შესაბამისობაში მყოფი.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

დაწესებულებამ ბოლო დროს გადადგა რამდენიმე მისასალმებელი ნაბიჯი აღნიშნული მიმართულებით, თუმცა, რეკომენდაცია გაიცა დაწესებულების სურვილიდან გამომდინარე, იყოს წამყვანი ინსტიტუცია, რაც მოითხოვს ამბიციის გარკვეულ გაფართოვებას. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

რეკომენდაცია:

3. რეკომენდებულია, გაძლიერდეს აკადემიური გადაწყვეტილებების მიღების დამოუკიდებლობა ისეთი ზომების განხორციელებით, რომლებიც შეამცირებს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტს პრეზიდენტის როლსა და აკადემიურ საბჭოში მის უშუალო ჩართულობას შორის. 2.1

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

აღნიშნული რეკომენდაცია უკვე განხორციელებულია. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული რეალური გამოწვევები არ ყოფილა უნივერსიტეტში, ალტერნატიული უნივერსიტეტმა ყურადღებით განიხილა ვიზიტის დროს ექსპერტთა პანელის მიერ დაფიქსირებული მოსაზრება გასაუმჯობესებელ საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ უკვე განვახორციელეთ ქმედებები აკადემიური გადაწყვეტილების პროცესში კიდევ უფრო მეტი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, პრეზიდენტის როლის გადახედვით და აკადემიურ საბჭოში მისი უშუალო ჩართულობის შემცირებით. ეს ცვლილება შესაბამისობაშია ჩვენ მიერ ნაკისრ ვალდებულებასთან, რომ შევინარჩუნოთ მმართველობის გამჭვირვალე და ავტონომიური პრაქტიკა უნივერსიტეტში, რომელიც ხორციელდებოდა გასული წლების განმავლობაში. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით (იხილეთ დანართი N3.1.), აკადემიური საკითხებისა და კვლევების მიმართულებით ვიცე პრეზიდენტი ამჟამად არის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, პრეზიდენტი კი მხოლოდ დირექტორთა საბჭოს წევრია.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია ამ რეკომენდაციის ამოღება საბოლოო დასკვნიდან.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ დღეის მდგომარეობით აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე არის აკადემიურ საკითხებისა და კვლევების მიმართულებით ვიცე პრეზიდენტი, ხოლო პრეზიდენტი მხოლოდ დირექტორთა საბჭოს წევრია და დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულის შესახებ მტკიცებულებები. ალტე უნივერსიტეტი ითხოვს აღნიშნული რეკომენდაციის გაუქმებას. ვინაიდან, ეს ცვლილება განხორციელდა ჩვენი ვიზიტის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი ძალაში ტოვებს რეკომენდაციას.

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა:

რეკომენდაცია:

4. რეკომენდებულია, ინტერესთა კონფლიქტის ცნების განსაზღვრა და ფორმალიზება, იმისათვის, რომ დაეხმაროს აკადემიური საზოგადოების ყველა წევრს იმ სიტუაციების გამოვლენაში, რომლებიც მიიჩნევა ინტერესთა კონფლიქტად და შესაძლო შემთხვევების პრევენციის მიზნით შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება. 2.3

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

ავტორიზაციის ვიზიტის დროს, ალტე უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის „ალტე უნივერსიტეტში ინტერესთა კონფლიქტის მართვასთან დაკავშირებული ზოგადი წესები“ (იხ. ადგილზე ვიზიტის დროს დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტები, დანართი N10 – ინტერესთა კონფლიქტის შიდა პოლიტიკა).

ამ ფაქტის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ეს რეკომენდაცია ამოღებული უნდა იყოს კომპონენტის შეფასებიდან.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

ექსპერტთა ჯგუფმა ამოიღო აღნიშნული რეკომენდაცია.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

რეკომენდაცია:

5. რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის ციკლის დახურვის უზრუნველყოფა ანგარიშებით, კერძოდ, კონკრეტული აკადემიური წლის ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშში წინა წლის გასაუმჯობესებელი მხარეების გადასაჭრელად გაწეული სამუშაოების ეფექტურობის ასახვა. 3.1

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

მიგვაჩნია, რომ ანგარიშს მეტი სიცხადე სჭირდება პროგრამის შემუშავებისა და განვითარების სტანდარტთან ალტე უნივერსიტეტის შესაბამისობის ნაწილში რამდენიმე კრიტიკული ელემენტის დეტალური აღწერის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ალტე უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა (იხ. ავტორიზაციისთვის წარდგენილი პირველადი დოკუმენტების დანართი N3.1), ანგარიშში სრულყოფილად არ არის განხილული, თუ როგორ ფუნქციონირებს თითოეული კომპონენტი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოში. მნიშვნელოვანია, რომ ის მეთოდები, რომელთაც ალტე უნივერსიტეტი იყენებს უკუკავშირის სისტემატურად

შეგროვებისა და ანალიზის მიზნით, რაც ხორციელდება კმაყოფილების სტრუქტურირებული კვლევების, დასაქმების მაჩვენებლის შესწავლისა და დაკავშირებული მხარეების მიერ მოწოდებული სხვა მონაცემების შეგროვებით, ბოლომდე არ არის დეტალურად აღწერილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უნივერსიტეტის მთავარი ძლიერი მხარეა. ალტე უნივერსიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და პროფესიული ასოციაციების უკუკავშირის მიღებას და უზრუნველყოფს მათ აქტიურად გამოყენებას პროგრამის შემუშავების პროცესში. ეს მონაწილეობითი მიდგომა ცენტრალურია ალტე უნივერსიტეტის მისწრაფებაში, შექმნას მაღალი ხარისხის, ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც შეესაბამება არსებულ აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებს.

ანგარიშის ფოკუსირება ხარისხის უზრუნველყოფის (QA) ციკლზე და პროგრამის განვითარების ფარგლებში PDCA (Plan-Do-Check-Act) ციკლის დახურვაზე, პირდაპირ შეესაბამება სტანდარტს 2.2, რომელშიც უნივერსიტეტი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი სტანდარტთან. მიუხედავად იმისა, რომ PDCA ციკლი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების (პროგრამის შეფასების ჩათვლით) განუყოფელი ნაწილია, ის პირველ რიგში უნდა შეფასდეს სტანდარტი 2.2 –ის და არა სტანდარტი 3.1 –ის ფარგლებში. სტანდარტი 3.1 უფრო მეტად ფოკუსირებული უნდა იყოს დაწესებულების მეთოდოლოგიებზე და მონაწილეობით პროცესებზე პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების დროს, დაკავშირებული მხარეების ჩართულობასა და პროგრამის შესაბამისობაზე აქცენტი, ვიდრე ხარისხის უზრუნველყოფის ციკლურ მექანიზმებზე, რომლებიც უკვე შეფასებული იყო კომპონენტ 2.2-ში.

უნივერსიტეტი თანმიმდევრულად იყენებს PDCA ციკლს თავის პროცესებში, მათ შორის პროგრამის შეფასების დროს, როგორც ეს ნაჩვენებია დანართებში (იხ. ავტორიზაციისთვის წარდგენილი პირველადი დოკუმენტები - N2.8 ფაილის დანართები - ანგარიშები). ეს იძლევა უტყუარ მტკიცებულებას იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებს ალტე უნივერსიტეტი PDCA ციკლს პროგრამის შეფასებაში, მათ შორის სისტემატური დაგეგმვის, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესებში, რომელიც ეფუძნება უკუკავშირს და შესრულების მონიტორინგს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხდყოფს უნივერსიტეტის მისწრაფებას, საგანმანათლებლო პროგრამებში ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისკენ, რაც ხაზს უსვამს დაწესებულების ხარისხის ძლიერ კულტურას. ამჟამად, პროგრამის ხელმძღვანელები მუშაობენ ხარისხის უზრუნველყოფის ყოველწლიურ ანგარიშებზე (იხილეთ დანართი N5.1.).

ალტე უნივერსიტეტი სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების სტრუქტურირებული მეთოდოლოგიის განხორციელებით, რაც უზრუნველყოფს, რომ თითოეული პროგრამა შემუშავებული იყოს ინსტიტუციურ მიზნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში. თანამშრომლობითი მიდგომის გამოყენებით, უნივერსიტეტი ამ პროცესში რთავს პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და პროფესიულ ასოციაციებს, და პროგრამები შესაბამისობაში მოყავს როგორც აკადემიურ, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. უნივერსიტეტი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირებს, კმაყოფილების კვლევის კითხვარების შედეგებს და სტუდენტთა მიღწევების მონაცემებს პროგრამების დაგეგმვასთან, განხორციელებასა და განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.

ალტე უნივერსიტეტი პროაქტიულია პროგრამების განახლების მიმართულებით, რათა შეინარჩუნოს რელევანტურობა ცვალებად გარემოში. პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და მის შეწყვეტასთან დაკავშირებით დადგენილი რეგულაციებით, ალტე უნივერსიტეტი ინარჩუნებს

გამჭვირვალობას პროგრამების მართვის პროცესში. გარდა ამისა, როდესაც პროგრამები იცვლება ან წყდება, ალტე უნივერსიტეტი იცავს სტუდენტების უფლებებს და უზრუნველყოფს ალტერნატიული ვარიანტების მოძიება/შეთავაზებას მათ მიერ პროგრამის შეუფერხებლად დასრულების უზრუნველსაყოფად. ამ პრაქტიკის საშუალებით, ალტე უნივერსიტეტი არა მხოლოდ აკმაყოფილებს, არამედ ხშირად აჭარბებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს, რაც ხაზს უსვამს, რომ ინსტიტუცია ორიენტირებულია ხარისხზე, სტუდენტების საუკეთესო ინტერესების დაცვაზე და პროგრამის რელევანტურობის შენარჩუნებაზე.

ზემოთმოცემული აღწერითი ნაწილის გათვალისწინებით, ეს რეკომენდაცია ერთი მხრივ არ ეკუთვნის 3.1 კომპონენტს, და მეორეს მხრივ, უფრო რჩევის ხასიათს ატარებს, ვიდრე რეკომენდაციის.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა ალტე უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშები, სადაც ნათლად ჩანს, პროგრამის ხარისხის ციკლის დახურვა მუდმივად არ ხდება. ასევე, სადავოა ხარისხის უზრუნველყოფის გამოყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარებისგან. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

რეკომენდაციები:

6. რეკომენდებულია, ინგლისურენოვანი მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამების სწავლის შედეგების გადახედვა ტექნიკური ასპექტის და პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით 3.2

7. რეკომენდებულია, ინგლისურენოვანი მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამების მიზნების გადახედვა პროგრამის ფართო ხასიათის დაფარვის მიზნით, მათ შორის სწავლება - სწავლის, გავრცელების და საზოგადოებრივი სერვისების ჩათვლით. 3.2

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

ალტე უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის 3.2 კომპონენტთან შესაბამისობის შესახებ ანგარიშში აღწერილია უნივერსიტეტის 14 პროგრამიდან 2 (მედიცინა და სტომატოლოგია).

ალტე უნივერსიტეტი, ყველა პროგრამასთან მიმართებით, მუდმივად ცდილობს უზრუნველყოს მკაფიო სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურირებული შინაარსი და უმაღლესი განათლების დონის მოთხოვნების შესრულება. უნივერსიტეტის პროგრამებში კომპონენტებს შორის არის ლოგიკური კავშირი, არჩევითი შესაძლებლობები და სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვან მეთოდები, რომლებიც ადაპტირებულია თითოეული დარგის სპეციფიკასთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები (PLOs).

ალტე უნივერსიტეტის პროგრამები აკრედიტებულია (მხოლოდ სტომატოლოგიის პროგრამა ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში), და თითოეული პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS) და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (NQF) ყველა სფეროში.

ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები - როგორცაა პროგრამის სწავლის შედეგების დახვეწა, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციის გაძლიერება და ინდივიდუალური სწავლის შედეგების დაზუსტება - წარმოადგენს პროგრამის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვან მიმართულებებს, თუმცა ისინი არ მიუთითებს სტანდარტთან ნაწილობრივ შეუსაბამობაზე. ეს არის რჩევები პროგრამის გაუმჯობესებისათვის და არა მოთხოვნები, რომელთაც ალტე უნივერსიტეტი ვერ აკმაყოფილებს.

რომ შევაჯამოთ, არსებულ დასკვნის პროექტს არ მივყავართ ალტე უნივერსიტეტის 3.2 კომპონენტთან შესაბამისობის ზუსტ შეფასებამდე, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის გათვალისწინებით. რეკომენდაციები შეიძლება ფორმულირდეს როგორც რჩევები პროგრამის გაუმჯობესებისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა პროგრამა აკრედიტებულია (გარდა სტომატოლოგიისა), რაც ასახავს ალტე უნივერსიტეტის სწრაფვას შეინარჩუნოს ხარისხი და შესაბამისობაში იყოს უმაღლესი განათლების სტანდარტებთან.

პროგრამები კარგად არის სტრუქტურირებული, სწავლის შედეგები და მიზნები შესაბამისობაშია თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებსა და დარგობრივ მახასიათებლებთან. შესაბამისად, მათ მიენიჭა აკრედიტებული და ავტორიზებული სტატუსი. მედიცინისა და სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამების სწავლის შედეგებისა და მიზნების გადახედვა, შესაძლოა, სასარგებლო იყოს, მაგრამ ამ ეტაპზე არ წარმოადგენს აუცილებელ მოთხოვნას, რადგან პროგრამების სტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს კომპლექსური საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას. ნებისმიერი ცვლილება, განსაკუთრებით ტექნიკური დახვეწისა და მასშტაბის გაფართოების მიზნით, რათა მოცული იყოს სწავლა, სწავლება, კვლევა და საზოგადოებრივი საქმიანობა, შეიძლება განხილული იყოს როგორც რჩევა გაუმჯობესებისთვის და არა როგორც რეკომენდაცია. ეს რჩევები შეიძლება იყოს ფასეული სახელმძღვანელო პრინციპები პროგრამების დახვეწისთვის, განსაკუთრებით სტომატოლოგიის პროგრამის აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში, თუმცა არა როგორც აუცილებელი მოთხოვნები შესაბამისობისათვის. დამატებითი ინფორმაციისთვის მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამების შესახებ, იხილეთ დანართი N6.1.

აღნიშნული აღწერილობითი ნაწილისა და ფაქტებზე დაფუძნებული არგუმენტების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ეს რეკომენდაციები უფრო რჩევებია, ვიდრე რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

პანელს უკვირს, რომ ალტეს უნივერსიტეტი აპროტესტებს ამ ორ რეკომენდაციას, რომლებიც ძალაშია და ხელს უწყობს ორივე პროგრამის გაუმჯობესებას. უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგები წინ უსწრებს პროგრამის სტრუქტურას და მის შინაარსს და იძლევა სათანადო შეფასების შემუშავების საშუალებას. ეს ორი რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

8. რეკომენდებულია, მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის მე - 12 სემესტრში დაინერგოს სანდო პროფესიული აქტივობების (EPAs) შეფასება, როგორც კლინიკურ როტაციებში სტუდენტების მიღწევების გაზომვის უმთავრესი საშუალება. 3.2

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

ჩვენ განვიხილავთ რეკომენდაციას მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის მე - 12 სემესტრში მინდობილიპროფესიული აქტივობების (EPAs) დანერგვის შესახებ რჩევად და არა აუცილებელ მოთხოვნად. EPAs-ების გამოყენება არ არის სავალდებულო დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით. □არგობრივი მახასიათებლის თანახმად, “იმ შემთხვევაში, თუ სწავლების კლინიკურ ეტაპზე ხორციელდება EPA “მინდობილი პროფესიული აქტივობის“ (EPA -Entrustable Professional Activities) მეთოდოლოგია, შესაძლებელია ორი ან მეტი ქვემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციების გაერთიანება ერთი სანდო აქტივობის ფარგლებში.” (მედიცინის დარგობრივი მახასიათებელი, გვერდი 20). აღნიშნული ჩანაწერი აჩვენებს, რომ EPA -ს გამოყენება არჩევითია და შესაძლებელია მისი ინკორპორირება ინსტიტუციის სურვილის მიხედვით, თუმცა არ არის სავალდებულო კომპონენტი. მიუხედავად იმისა, რომ EPA-ს დანერგვამ შეიძლება გააძლიეროს კლინიკური შეფასების პროცესი, ვთვლით, რომ პროგრამაში მისი დამატება სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო/ პროგრამის ამჟამინდელი სტრუქტურა ადეკვატურად აფასებს სტუდენტების კლინიკური სწავლების ეტაპს, ამიტომ EPA-ების ჩართვას ჩვენ განვიხილავთ როგორც ნებაყოფლობით გაუმჯობესებას და არა სავალდებულო მოთხოვნას.

მოწოდებული აღწერის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია უფრო რჩევას, ვიდრე რეკომენდაცია.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

სამედიცინო განათლებაში მიმდინარე პროგრესი მოითხოვს სანდო პროფესიული საქმიანობის (EPAs) განხორციელებას. არგუმენტი, რომ ეს სასურველია და არა აუცილებელი, არაა რელევანტური მაშინ, როდესაც დაწესებულება გვთავაზობს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სამედიცინო პროგრამას და ასევე, გამოთქვამს

მზაობას უზრუნველყოს ფაკულტეტისა და პერსონალის გადამზადება სამედიცინო კომპეტენციების შეფასების მიმდინარე ტენდენციებთან დაკავშირებით.
რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

9. რეკომენდებულია, სტომატოლოგიური ფანტომის თავები განთავსდეს უფრო დიდ სივრცეში და უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული თავების საკმარისი რაოდენობა. ასევე, შეიზღუდოს თითოეულ ფანტომზე მომუშავე სტუდენტების რაოდენობა ერთ სტუდენტამდე კონკრეტულ დროში, რომელსაც აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაეხმაროს სხვა სტუდენტი. 3.2

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

რაც შეეხება რეკომენდაციას, რომ სტომატოლოგიური ფსაფანტომო თავები უფრო დიდ სივრცეში განთავსდეს, გაიზარდოს მათი რაოდენობა და შეიზღუდოს ერთი თავის გამოყენება ერთ სტუდენტამდე (საჭიროების შემთხვევაში მეორე სტუდენტის ასისტირებით), გვსურს განვმარტოთ, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობს პროგრამის განვითარებას და აქვს მზაობა მისი აკრედიტაციისთვის, რაც მოიცავს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების საჭიროებისამებრ მუდმივ გაუმჯობესებას.

აქვე გვსურს მივუთითოთ ფაქტობრივ უზუსტობაზე დასკვნაში, 3.2 კომპონენტის ქვეშ არსებულ აღწერით ნაწილში, სადაც ნათქვამია, რომ სამი სტუდენტი ერთდროულად მუშაობს ერთ საფანტომო თავზე. დაზუსტებისთვის:

(ა) მხოლოდ ორი სტუდენტი მუშაობს ერთ საფანტომო თავზე ერთდროულად, სულ 10 სტუდენტი ერთ სესიაზე.

(ბ) განაწილება შეესაბამება სტომატოლოგიური განათლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელიც არეგულირებს სტუდენტების რაოდენობას თითო ფანტომზე - “საუნივერსიტეტო/სასწავლო სიმულაციურ /საფანტომო ცენტრებში სასწავლო კურსის განმავლობაში უნდა იყოს: 1 სიმულატორი/ფანტომი/მანეკენი - არაუმეტეს 2 სტუდენტზე ერთდროულად, 1 საკონტაქტო საათისფარგლებში.”

(გ) ერთ სესიაზე ორი აკადემიური საათის განრიგით, დღეში ოთხი ცვლის არსებობის პირობებში, საფანტომო ლაბორატორიას ყოველდღიურად 40 სტუდენტის გატარება შეუძლია.

(დ) იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ ხსენებული საფანტომო ლაბორატორიული სწავლება გამოიყენება მხოლოდ პრეკლინიკურ ფაზაზე, არსებული მდგომარეობა შესაბამისია პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისთვის საფანტომოს გადატვირთვის გარეშე, რადგან ამჟამად პრეკლინიკურ საფეხურზე 25 სტუდენტი სწავლობს. გარდა ამისა, მანძილი სკამებს შორის და

ოთახის განლაგება აღემატება სტომატოლოგიური განათლების დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ მოთხოვნებს.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 ნოემბრის, N359 დადგენილების თანახმად, „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რეალურ კლინიკურ პირობებშიც კი, საჭირო ფართი ერთ სკამზე გამოითვლება როგორც 12 კვადრატული მეტრი პირველი სკამისთვის პლუს 6 კვადრატული მეტრი ყოველ დამატებით სკამზე. ხუთ სკამზე ამისათვის საჭიროა 36 კვადრატული მეტრი დარბაზის სტილის განლაგებაში. ალტეს საფანტომო ლაბორატორიის ფართი არის 96,47 კვადრატული მეტრი.

ზემოთაღნიშნული ფაქტები დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშშიც, კონკრეტულად კომპონენტში 7.1, სადაც ნათქვამია, რომ „სტომატოლოგიის პროგრამისთვის ფანტომური თავების რაოდენობა საკმარისია სტუდენტების ამჟამინდელი რაოდენობისთვის, მაგრამ შესაძლოა საჭირო გახდეს გადახედვა სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში.“

გვჯერა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ამოღებული უნდა იყოს კომპონენტის შეფასებიდან, რადგან არსებული წყობა ეფექტურად აკმაყოფილებს როგორც დარგობრივ, ისე მარეგულირებელ სტანდარტებს.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

ალტე უნივერსიტეტი მიუთითებს ფაქტობრივ შეცდომაზე 3.2 კომპონენტში, სადაც ნათქვამია, რომ სამი სტუდენტი ერთდროულად მუშაობს ერთ ფანტომურ თავზე. სამწუხაროდ, აღნიშნული ხაზგასმული იქნა არაერთი აკადემიური პერსონალის მხრიდან, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს დასკვნაში ყურადღება უსაფუძვლოდ არ გაუმახვილებია მითითებულთან დაკავშირებით. გარდა ამისა, დარგობრივ მახასიათებელში ხაზგასმულია, რომ „უნივერსიტეტს/საგანმანათლებლო სიმულაციურ/ფანტომურ ცენტრებს უნდა ჰქონდეთ 1 სიმულატორი/ფანტომი/მანეკენი - ერთდროულად არაუმეტეს 2 სტუდენტისთვის, 1 საკონტაქტო საათის განმავლობაში“, რაც ნიშნავს, რომ ალტეს უნივერსიტეტმა აირჩია უმაღლესი ლიმიტი 2. თუმცა, სივრცე დატვირთული და ძალიან მჭიდროა, რაც შეუსაბამოა შედეგის საჭირო ხარისხით მისაღწევად. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ლაბორატორია გამიზნული იყო იმისთვის, რომ ალტეს უნივერსიტეტს სურდა ყველა უნარის სასწავლო ობიექტის ერთ სივრცეში განთავსება. ამდენად, არგუმენტი, რომ სივრცე დიდია, გაბათილებულია იმიტომ, რომ სივრცე არ არის გამოყოფილი მხოლოდ ფანტომური თავებისთვის. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საჭიროა მეტი ინვესტიციის განხორციელება კამპუსში არსებული სტომატოლოგიის პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისთვის. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

10. რეკომენდებულია, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) და მედიცინის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ინგლისურენოვანი კატალოგების უზრუნველყოფა. 3.2

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

ეს საკითხი ეკუთვნის კომპონენტს 7.3: „უსდ-ის ოფიციალური ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, უსდ-ს მისია, საქმიანობა, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი“.

ეს ტექნიკური ხარვეზი გამოსწორებულია. ინგლისურენოვანი კატალოგები ხელმისაწვდომია და მათი წვდომა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე:

<https://alte.edu.ge/en/catalog-of-educational-programs>

ამიტომ მიგვაჩნია, რომ რეკომენდაცია შეიძლება ამოღებული იყოს საბოლოო ანგარიშიდან.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

ექსპერტთა ჯგუფი შეფასებისას ხელმძღვანელობს ვიზიტის დღეს დაწესებულებაში არსებული მდგომარეობით. ეს რეკომენდაცია რელევანტურია 2.3 კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებთან მიმართებით, ამიტომ რეკომენდაცია რჩება ძალაში.

11. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურ პერსონალმა შეძლონ ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია (ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს პროგრამის სტუდენტების სწავლების ენას). 3.2

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

განვმარტავთ, რომ სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი და სწავლებაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლები, რამდენიმე წელია წარმატებით უძღვებიან პროგრამას ინგლისურ ენაზე. პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს სერთიფიკატს, რომელიც ადასტურებს მისი ინგლისური ენის ცოდნას საჭირო დონეზე (იხ. დანართი N11.1). გარდა ამისა, იგი არის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ექსპერტი ოდონტოლოგი და აქვს ინგლისურ ენაზე პროფესიული ტრენინგების ჩატარების გამოცდილება.

ამასთანავე, არც პროგრამის ხელმძღვანელს და არც ლექტორებს არ მიუღიათ სტუდენტებისგან უარყოფითი უკუკავშირი ინგლისური ენის ცოდნასთან დაკავშირებით.

აღნიშნული რეკომენდაცია წარმოადგენს 4.1. კომპონენტთან მიმართებით გაცემული, N18 რეკომენდაციის დუბლირებას, რომელიც ეხება იმავე საკითხს, ალტე უნივერსიტეტის ყველა პროგრამასთან მიმართებით. □მის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ შეესაბამება 3.2. კომპონენტის მოთხოვნებს და იწვევს დუბლირებას, ჩვენ

გთავაზობთ N11 რეკომენდაციის 3.2. კომპონენტიდან ამოღებას, რადგან იგი უკვე დაფარულია N18 რეკომენდაციის ფარგლებში.

მიგვაჩნია, რომ რეკომენდაცია არ შეესაბამება ფაქტობრივ რეალობას და იგი ამოღებული უნდა იყოს საბოლოო დასკვნიდან.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

ექსპერტთა ჯგუფს არ შეუძლია იგნორირება გაუკეთოს იმ ფაქტს, რომ ინტერვიუს დროს სტომატოლოგიური პროგრამის დირექტორი ითხოვდა ქართულად საუბარს და მთელი ინტერვიუს განმავლობაში არ უსაუბრია ინგლისურ ენაზე. ექსპერტთა ჯგუფი ვერ მიიღებს ალტე უნივერსიტეტის არგუმენტს. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

3.3 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

12. რეკომენდებულია, სწავლის შედეგები განხილული იყოს როგორც სასწავლო პროცესის მთავარი მამოძრავებელი ძალა და მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის მათი წარდგენა გაზომვადი მიზნის სახით. 3.3

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

ალტე უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა წარმოადგენს სასწავლო პროცესის მთავარ მიზანსა და ვალდებულებას, რომელსაც ამყარებს შეფასების კარგად ჩამოყალიბებული მეთოდოლოგია. უნივერსიტეტი იყენებს სწავლის შედეგების შეფასების ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც მოიცავს როგორც სტუდენტების აკადემიური მოსწრების სემესტრულ შეფასებას, ისე სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ მეთოდებს. ეს შეფასებები უწყვეტად მიმდინარეობს, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტონ ერთად წინასწარ განსაზღვრულ ვადებში. ამ შეფასებებით მიღებული შედეგები უმნიშვნელოვანესია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და გაუმჯობესების მიმდინარე პროცესში. სწავლის შედეგების შეფასების ფორმებთან და პერიოდულობასთან დაკავშირებული დეტალებისთვის იხ. ცხრილი დანართში N12.1.

შეგვიძლია ეს რეკომენდაცია რჩევად მოვიაზროთ, რადგან უნივერსიტეტს აქვს ზუსტი რეგულაციები და მუდმივად ცდილობს სწავლის შედეგები მკაფიოდ გასაგები გახადოს მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

პროგრამის შინაარსი, სწავლის შედეგები, პროგრამაში თითოეული კურსის როლი და სწავლის შედეგების გაზომვადობა არ არის გაზიარებული საუნივერსიტეტო საზოგადოებაში. ეს არის ის, რასაც რეკომენდაცია ეფუძნება. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

13. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდების რეალისტურად დაგეგმვა და პრაქტიკაში გამოყენება. 3.3

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

აღტე უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს, როგორებიცაა დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვა. ეს შეფასებები სისტემატურად ტარდება ოფიციალურ დოკუმენტებში ასახული, წინასწარ განსაზღვრული ვადების მიხედვით. ამიტომ, უნივერსიტეტი არასაჭიროდ მიიჩნევს რეკომენდაციას ამ შეფასებების დაჩქარების შესახებ.

აღტე უნივერსიტეტი მიმართულია განახორციელოს შეფასების ყველა შესაბამისი მექანიზმი გეგმიურად და თანმიმდევრულად. ეს სტრუქტურირებული მიდგომა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის, მისი სწავლის შედეგების და დროთა განმავლობაში ამ შედეგების მიღწევისა და გაძლიერების შესაძლებლობების სრულყოფილ გაანალიზებას. უნივერსიტეტის მიერ შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების სისტემატური გამოყენება უწყვეტი და მრავალმხრივი შეფასების გარანტიას, რაც სწავლის შედეგების შეფასების საუკეთესო პრაქტიკების შესაბამისია.

ეს რეკომენდაცია შესაძლოა ჩაითვალოს სასარგებლო რჩევად სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მეტად გაუმჯობესებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

რეკომენდაციის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვა არ შეიძლება მოაზრებულ იქნას პროგრამის შეფასების ინსტრუმენტად, მაშინ როდესაც პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებული და დამსაქმებელი. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

14. რეკომენდებულია, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით სწავლის შედეგების შეფასება იყოს უწყვეტი პროცესი და არ გადაიდოს 2-3 წლით. 3.3.

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

აღტე უნივერსიტეტის მიერ სწავლის შედეგების შეფასება შეესაბამება საუკეთესო ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკას, რომელიც პროგრამის მთელი ციკლის განმავლობაში სტრუქტურირებული მიდგომის მიხედვით ხორციელდება. თითოეული პროგრამა ერთხელ მაინც გადის შეფასებას აკრედიტაციის შეიღწლიანი ციკლის

განმავლობაში, ხოლო საჭირო მონაცემები მუდმივად გროვდება ყოველ სემესტრში, რათა შენარჩუნდეს შეფასების ადექვატური პროცესი. ახალი პროგრამებისთვის სწავლის შედეგების პირველი შეფასება ხდება პროგრამის სრული ციკლის პირველად დასრულების შემდეგ, ხოლო შემდეგი შეფასებები ტარდება ყოველწლიურად.

ალტე უნივერსიტეტი იყენებს შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების კომბინაციას, მათ შორის სტუდენტების თვითშეფასებას, სტუდენტთა შენარჩუნების მაჩვენებლებს და, საჭიროებისამებრ, დასაქმების შესახებ მონაცემებსა და პროგრესიის სტატისტიკას. ეს მეთოდები საშუალებას გვაძლევს სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნას სხვადასხვა პროგრამის სწავლის შედეგებზე. ეს დაგეგმილი, პროაქტიული და სისტემური მიდგომა ნათლად წარმოაჩენს ალტე უნივერსიტეტის მიდგომას ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან.

ეს რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს რჩევად და არა რეკომენდაციად.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით დოკუმენტებში არ ყოფილა წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა, ამიტომ გაურკვეველია, თუ რა ხდება, როდესაც არ არის პროგრამის სწავლის შედეგები მიღწეული, რამაც განაპირობა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა.

15. რეკომენდებულია, მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაში კრიტიკული უნარების სწავლის შედეგების გაზომვის სამიზნე დონე იყოს 65%-ზე მაღალი. 3.3

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

ალტე უნივერსიტეტის პროგრამებში OSCE გამოცდები ჩამოყალიბებულია ისე, რომ ზუსტად პასუხობდეს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მე-6 კომპეტენციის (სტანდარტი 6) მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც OSCE გამოცდები ფუნდამენტური უნარების შეფასების ძირითადი მეთოდია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როგორც დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტშია მითითებული, „ყველა კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს გარკვეული პროცედურების შესრულება (მაგ. არტერიული წნევის გაზომვა, საბაზისო პირველადი დახმარება) 100% იანი სამიზნე ნიშნულით“.

ჩვენი პროგრამა უზრუნველყოფს კრიტიკული უნარების სისტემურ სწავლებას და შეფასებას სხვადასხვა კურსებსა და სილაბუსებში, სადაც სასწავლო მიზნები გადის განვითარების შემდეგ ეტაპებს: გაცნობა (I), გაღრმავება (P) და განმტკიცება (M) (იხ. ავტორიზაციისთვის წარდგენილი პირველადი დოკუმენტების დანართი N3.2. სახელწოდებით - “ENG Learning outcomes map”). OSCE შეფასებებში კრიტიკული უნარები ფასდება სხვადასხვა დონეზე თითოეული კურსის გეგმის მიხედვით (იხ. დანართი N15.1). მეტი სიცხადისთვის ჩვენ ვიყენებთ პირველადი შეფასების რამდენიმე ფორმას: 1)

საკონტროლო სიის (ჩეკლისტების) ფორმატი პროცედურული უნარებისთვის, რომელიც გამოიყენება კონკრეტული პროცედურული ამოცანების შესაფასებლად: ჩვენი OSCE სადგურები იყენებენ ჩეკლისტზე დაფუძნებულ შეფასებებს, რომლის მიხედვით დავალება ან სრულად შესრულებულად ითვლება ან შეუსრულებლად. ეს ნიშნავს, რომ თითოეული პროცედურული სადგური მუშაობს მკაცრი ჩააბარა/ჩაიჭრა პრინციპის საფუძველზე, რაც ასახავს 100% –იან ან 0%–იან შედეგს. ეს მეთოდი შექმნილია იმისათვის, რომ ძირითადი უნარები ან სრულად გამოვლინდეს ან საერთოდ არა, რაც გამორიცხავს ნაწილობრივ შესრულებას. 2) მოდულური შეფასება (Domain Scoring) კომუნიკაციისა და ქცევითი უნარებისთვის შექმნილია სადგურებისთვის, რომლებიც მოიცავს კომუნიკაციას, ანამნეზის შეგროვებას ან და ქცევით უნარებს; ჩვენ ვიყენებთ მოდულებზე დაფუძნებულ ფორმებს, რომლებიც ამ კრიტიკული კომპეტენციების უფრო დეტალიზებული შეფასების საშუალებას იძლევა. ზოგიერთ სადგურში, განსაკუთრებით იქ, სადაც საჭიროა პროცედურული და კომუნიკაციური ამოცანების შერწყმა, შეიძლება გამოყენებული იყოს ჰიბრიდული ფორმები, სადგურის კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა განიმარტოს, რომ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სილაბუსებში 65% იანი სამიზნე ნიშნული მიუთითებს სტუდენტების წილზე, რომელთაც უნდა მიაღწიონ კურსის სწავლის შედეგებს მინიმალურზე მეტი ქულით და არა OSCE შეფასებას.

ამ საკითხების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ეს რეკომენდაცია ამოღებული უნდა იქნეს კომპონენტის შეფასებიდან.

ყოველივე ზემოხსენებულის დამატებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როგორც ავტორიზაციის დებულების 72-ე მუხლის მე-3 პუნქტშია განმარტებული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მიიჩნევა „ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ ის აკმაყოფილებს სტანდარტის ძირითად მოთხოვნებს, მაგრამ აჩვენებს სუსტ მხარეებს, რომლებსაც სჭირდება რესურსების მნიშვნელოვანი მობილიზება გაუმჯობესებისათვის. დაწესებულებამ უნდა აჩვენოს მზაობა და ჰქონდეს საშუალოვადიანი გეგმა (1 წელზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 3 წლისა) საკმარისი რესურსებით, რომ აღმოფხვრას სისუსტეები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია რომ 3.2. და 3.3. კომპონენტებში გაცემული არცერთი რეკომენდაციის დაკმაყოფილებას არ სჭირდება ერთ წელზე მეტი დრო მათ ეფექტურად შესასრულებლად.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, 65% მიემართება სტუდენტების პროპორციას, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ასცდებიან სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მინიმალურ ზღვარს. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

4.1 პერსონალის მართვა

16. რეკომენდებულია, კვლევითი პროფილის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს მკაფიო, დეტალური აფილირების პოლიტიკის ჩამოყალიბება, კვლევის და გამოქვეყნებების აქტივობებისთვის სპეციფიკური წამახალისებელი მექანიზმებით. 4.1.
17. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აქტიურად გაზარდოს აფილირებული პერსონალის რაოდენობა აკადემიური შედეგების გასაძლიერებლად, აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად და ფართო აკადემიურ საზოგადოებაში რეპუტაციის ასამაღლებლად. 4.1.

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

აღტე უნივერსიტეტს გააზრებული აქვს თავისი კვლევითი პროფილის გაძლიერების მნიშვნელობა აღიარებული მკვლევარების მოწვევისა და მათი ინსტიტუციასთან აფილირების წახალისების გზით. რეკომენდაციების საპასუხოდ, ჩვენ შევიმუშავეთ „აკადემიური პერსონალის აფილირების სისტემის განვითარების კონცეფცია“, რომელიც მოიცავს მიზანმიმართულ წამახალისებელ ზომებს კვლევის, პუბლიკაციებისა და დაფინანსებულ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის წასახალისებლად. ეს სტრატეგია მიზნად ისახავს გამორჩეული მკვლევარების მოზიდვას, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ჩვენს აკადემიურ საზოგადოებაში.

დამატებით, ამ ინიციატივის მხარდასაჭერად უნივერსიტეტმა გამოყო ბიუჯეტი და აკადემიურ თანამდებობებზე აყვანის მიზნით გამოაცხადა კონკურსები სამ სკოლაში (ბიზნესის სკოლა, ინფორმაციული ტექნოლოგიების სკოლა და მედიცინის საერთაშორისო სკოლა). კონკურსის მიზანია მაღალპროფესიონალური აკადემიური დონის მქონე ძლიერი კვლევითი პროფილის პერსონალის რეკრუტირება, რომლებიც მზად არიან წვლილი შეიტანონ აღტე უნივერსიტეტის განვითარებაში. პროცესი დასრულდება დეკემბრის დასაწყისში. მაღალი რანგის აფილირებული მკვლევარების რაოდენობის გაზრდით, ჩვენ მიზნად ვისახავთ გავაძლიეროთ ჩვენი აკადემიური შედეგები, ხელი შევუწყოთ პროფესორ-მასწავლებლების მეტ ჩართულობას და ავიმაღლოთ პოზიცია ფართო აკადემიურ საზოგადოებაში. უნივერსიტეტი ღიაა კვლევითი თანამშრომლობებისთვის და ამ მიმართულებას იყენებს მაღალი დონის აკადემიური პერსონალის მოსაზიდად და მათ წასახალისებლად შემოუერთდნენ აღტეს აფილირებული პერსონალის სტატუსით. აღტე უნივერსიტეტმა გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს (იხილეთ დანართი N 16.1. დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმი) „ნეონატალური მეტაბოლური სკრინინგის პროექტში“, რომელიც მიზნად ისახავს ახალშობილთა ყოვლისმომცველი სკრინინგის განხორციელებას საქართველოში. პროექტი, რომლისაც ხელმძღვანელობს სს მეგალაბი,

მოიცავს მაღალი დონის აღჭურვილობის შეძენას, გენეტიკური ტესტირების ჩატარებას და ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის სასწავლო სემინარების შეთავაზებას. ამ ინიციატივიდან მოველით, კვლევის ფასეულ შედეგებს, აკადემიურ პუბლიკაციებსა და ახალშობილთა ადრეული დიაგნოსტიკის გაუმჯობესებას. □როექტი, რომელიც

2 წელიწადში დასრულდება, საჭიროებს დაფინანსებას 140 000 ევროს ოდენობით. ალტე

უნივერსიტეტი გეგმავს , რომ 91 000 ევროთი დააფინანსოს პროექტი. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა მოიწვია პროექტში ჩართული პერსონალი გამოცხადებულ აკადემიური თანამდებობების

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და, აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში, აფილირების ხელშეკრულებების გასაფორმებლად. ამ წამოწყების შედეგად, პროექტში ჩართულმა პერსონალმა წარადგინა განცხადებები აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

ვაფასებთ ამ რეკომენდაციებს და ვაგრძელებთ განვითარებას ზემოთაღნიშნული მიმართულებებით.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება დაწესებულების მიერ ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით უკვე გადადგმულ ნაბიჯებს, რაც ხაზს უსვამს უნივერსიტეტის პოზიტიურ დამოკიდებულებას გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, თუმცა, ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, მხედველობაში მიიღოს ის ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ. ეს რეკომენდაციები რჩება უცვლელი.

18. რეკომენდებულია, რომ პერსონალის ყველა წევრს შეეძლოს პროგრამის სასწავლო ენაზე კომუნიკაცია. 4.1.

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

ალტე უნივერსიტეტი აცნობიერებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული თითოეული ადამიანის მიერ პროგრამის სწავლების ენაზე ეფექტური კომუნიკაციის უნარის მნიშვნელობას. პროგრამის სწავლების ენის სათანადო დონეზე ცოდნა ყოველთვის იყო ერთ-ერთ უმთავრესი მოთხოვნა ჩვენ მიერ საგანმანათლებლო პროგრამებზე პერსონალის აყვანის პროცესში (იხ. ადგილზე ვიზიტის დროს დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტები, დანართი N25 - პერსონალის აყვანის პროცედურები). უნივერსიტეტმა დააწესა ფორმალური პროცედურები ენობრივი კომპეტენციის შესამოწმებლად, რომლის მიხედვით, პერსონალს მოეთხოვება მათი ცოდნის დონის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, სწავლების უფლების მიღებამდე.

ამდენადაც მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული, მედიცინის პროგრამებში ჩართული პერსონალის ენობრივ კომპეტენციასთან დაკავშირებული მოთხოვნები უკვე სრულად შევიდა ძალაში, ალტერნატიული უნივერსიტეტმა ეს მოთხოვნები აკადემიური რეკრუტირების პროცესში შეიტანა. აპლიკანტებს მოეთხოვებათ შერჩევის პროცესში წარმოადგინონ სათანადო დოკუმენტაცია, რომლის ნიმუშები დართულია დანართის სახით (იხ. დანართი N 18.1.).

ამასთანავე, უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეაფასონ აკადემიურ პერსონალი. აქამდე, არ ყოფილა რაიმე უკმაყოფილება ან უკუკავშირი, რომელიც მიუთითებდა პერსონალის ენობრივ ბარიერზე სასწავლო პროცესში.

ამიტომ, მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია ამ რეკომენდაციის ამოღება საბოლოო დასკვნიდან.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

უნივერსიტეტმა ამ საკითხის მოსაგვარებლად შეიმუშავა დოკუმენტაცია და განსაზღვრა პროცედურები. თუმცა, ამ რეკომენდაციის საფუძველი იყო ჩატარებული ინტერვიუების შედეგები. ექსპერტთა ჯგუფი ძალაში ტოვებს რეკომენდაციას, ვინაიდან მისი შესრულება წარმოადგენს კრიტიკულ სფეროში პერსონალის კომპეტენციის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას.

5.1 სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და შეცვლის წესი, განათლების აღიარება და სტუდენტის უფლებები

20. რეკომენდებულია, დაინერგოს აქტივობები და მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების ინფორმირებას სკოლის საბჭოში და აკადემიურ საბჭოში მონაწილეობის უფლების, მათ შორის არჩევნების პროცედურების და აღნიშნული უფლების მნიშვნელობის შესახებ. 5.1

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

მიგვაჩნია, რომ ეს რეკომენდაცია უფრო მეტად რჩევითი ხასიათის მითითებაა, ვიდრე ფორმალური რეკომენდაცია, რადგან უნივერსიტეტმა უკვე შექმნა მრავალეფექტური საკომუნიკაციო არხი, რათა სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ ყველა მათი უფლების, მათ შორის სკოლისა და აკადემიურ საბჭოებში მონაწილეობის უფლების შესახებ. როგორც ავტორიზაციის ექსპერტები აღნიშნავენ დასკვნის პროექტში, ზოგადად უნივერსიტეტი სტუდენტებს აწვდის მკაფიო ინფორმაციას მათი უფლებების, აპელაციის პროცესებისა და მსგავსი საკითხების შესახებ, რომლებიც მარტივად ხელმისაწვდომია მათთვის. ამ ინფორმაციის გასაზიარებლად უნივერსიტეტი იყენებს სხვადასხვა არხს,

როგორცაა საინფორმაციო სესიები, სიახლეების რეგულარული მიწოდება, სპეციალურად განკუთვნილი ონლაინ პორტალები (Emis, ალტეს ოფიციალური ვებ-გვერდი) და საორიენტაციო შეხვედრები (იხ. დანართი N 20.1.). კომუნიკაციის ეს მრავალდონიანი მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტების მუდმივ ინფორმირებას და ინფორმაციის გაზიარების აქტიური პროცესის გამართულ ფუნქციონირებას.

ვინაიდან ინტერვიუებზე დამსწრე ზოგიერთმა სტუდენტმა გამოავლინა ინფორმაციის ნაკლებობა სკოლისა და აკადემიურ საბჭოში მათი მონაწილეობის უფლების შესახებ, უნივერსიტეტი გაიმეორებს ინფორმაციის გაზიარების ციკლს ამ კონკრეტული მიმართულებით, რათა უფრო მეტი სტუდენტი იყოს სათანადოდ ინფორმირებული ამ კონკრეტულ უფლებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ამ რეკომენდაციის ძირითადი ამოცანები რეალურად უკვე შესრულებულია.

მიგვაჩნია, რომ ეს რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს უფრო რჩევად, ვიდრე რეკომენდაციად.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას აქვს სტუდენტების ინფორმირების მექანიზმები, სხვადასხვა სტუდენტურ ჯგუფთან ინტერვიუს შედეგებმა ცხადყო, რომ ეს მექანიზმები არ არის ეფექტური. ფაკულტეტისა და აკადემიურ საბჭოებში მონაწილეობის უფლების, ასევე საარჩევნო პროცედურებისა და აღნიშნული უფლებების მნიშვნელობასთან დაკავშირებით სტუდენტების ადვეკატური ინფორმირების გარეშე ამ მექანიზმების ფორმალური არსებობა არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად სტანდარტის მოთხოვნების შესასრულებლად. ექსპერტთა ჯგუფი აფასებს ალტე უნივერსიტეტის მიერ გაწეულ ძალისხმევას, სტუდენტებს მიაწოდოს საკმარისი ინფორმაცია და მომსახურება, თუმცა ინტერვიუს შედეგებმა დაადასტურა, რომ არსებული მექანიზმები/პროცედურები არ უზრუნველყოფს სასურველი შედეგების მიღწევას, რაც მიუთითებს დადგენილ მექანიზმებსა და მათ ეფექტურობას შორის სისტემურ ხარვეზზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საჭიროა ამ მიმართულებით რეკომენდაციის გაცემა, შესაბამისად 5.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

26. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ნებისმიერ ერთეულში, მათ შორის საავადმყოფოს სივრცეში წინასწარ დაიგეგმოს სარემონტო სამუშაოები, სასწავლო პროცესის პერიოდების გათვალისწინებით და მათთან გადაფარვის გარეშე. 7.1

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ სარემონტო სამუშაოების დაგეგმვა და ბიუჯეტის გამოყოფა ზუსტი და ფრთხილი მიდგომით მოხდეს. ივანე ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში ბოლოდროინდელი სარემონტო სამუშაოები დასრულდა სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, რითაც დაფიქსირდა, რომ უნივერსიტეტი ცდილობს

სხვადასხვა აქტივობებმა მინიმალური გავლენა იქონიონ სასწავლო პროცესზე(იხ. დანართი N26.1.).

უნივერსიტეტის თანმიმდევრულად ეფექტური დაგეგმვისა და სამუშაოების დროული შესრულების გათვალისწინებით, ეს რეკომენდაცია შესაძლოა არ განვიხილოთ რეკომენდაციად ან რჩევად, რადგან ჩვენი მიდგომა უკვე სრულად შეესაბამება შეფერხებების მინიმუმადე დაყვანის საუკეთესო პრაქტიკებს.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

ექსპერტთა ჯგუფი არარეალურად მიიჩნევს, რომ ივანე ბოკერიას საუნივერსიტეტო საავადმყოფოში სარემონტო სამუშაოები 1 თვეზე ნაკლებ ვადაში დასრულდება, (იმის გათვალისწინებით, თუ რა სურათი დახვდა ჯგუფს ვიზიტის დროს ფიზიკურად დათვალიერებისას). რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

7.3 საინფორმაციო რესურსები

27. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე გამოქვეყნდეს ინფორმაცია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესახებ. 7.3.

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე აკადემიური პერსონალის დეტალური პროფილების გამოქვეყნების ინიციატივა რეკომენდაციამდე იყო ინიცირებული და უკვე საბოლოო ეტაპზეა. გარდა ამისა, უნივერსიტეტს არ ჰყავს სამეცნიერო პერსონალი. ინფორმაცია პერსონალის შესახებ უკვე ორგანიზებულია პროგრამების მიხედვით და ატვირთულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე პროგრამის აღწერილობების ქვეშ, იხილეთ მაგალითები:

1. <https://www.alte.edu.ge/ka/biznesis-administrirება-2>
2. <https://www.alte.edu.ge/ka/samartali-2>
3. <https://www.alte.edu.ge/ka/kompiuteruli-metsniereba-qartulენovani-2>
4. <https://www.alte.edu.ge/ka/kompiuteruli-metsniereba-inglisurenovani-2>
5. <https://www.alte.edu.ge/ka/meditsina-qartulენovani-2>
6. <https://www.alte.edu.ge/ka/meditsina-inglisurenovani-2>

რაც შეეხება დამატებით აქტივობებს, მათ შორის ფოტოსესიებს და ბიოგრაფიების მომზადებას, ასევე მალე დასრულდება. ეს უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ, სრულყოფილ პროფილებს უნივერსიტეტის საზოგადოებისთვის.

ვთვლით, რომ ეს შეიძლება ჩაითვალოს რჩევად და არა რეკომენდაციად.

ასევე, თხოვნით მივმართავთ ექსპერტებს, რომ დასკვნის პროექტი დაკორექტირდეს ისე, რომ ასახავდეს ზუსტ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ალტე უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ოთხი სკოლა: ბიზნესის სკოლა, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებებათა სკოლა, ინფორმაციული ტექნოლოგიების სკოლა და მედიცინის საერთაშორისო სკოლა, დასკვნაში აღნიშნული 5 სკოლის ნაცვლად.

ალტე უნივერსიტეტი მადლობას უხდის ექსპერტთა ჯგუფს საფუძვლიანი შეფასებისთვის, რომელიც ხაზს უსვამს ალტეს ძლიერ მხარეებსა და სწრაფვას ტრანსფორმაციული განათლებისადმი. უკუკავშირი თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან, დადებითად აფასებს ხარისხის უზრუნველყოფას, კვლევის რელევანტურობასა და სტუდენტზე ორიენტირებულ სერვისებს. ალტე უნივერსიტეტმა მიიღო შემოთავაზებული გაუმჯობესების არეები როგორც ღირებული მიგნებები და შეიმუშავა განმარტებები სტანდარტებთან მისი შესაბამისობის ზუსტი სურათის წარმოსაჩენად. დამატებითი არგუმენტები წარმოდგენილი იქნება ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. ვართ რა უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპების ერთგული, უნივერსიტეტი გამოიყენებს ამ შეფასებას აკადემიური ხარისხის გასაუმჯობესებლად, გლობალური პარტნიორობის გაფართოებისა და მხარდაჭერის სისტემების გასაძლიერებლად. ვიმედოვნებთ, რომ საბოლოო დასკვნაში გათვალისწინებული იქნება უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია, რაც განამტკიცებს ალტეს მზადყოფნას მუდმივად გაუმჯობესდეს და შესაბამისობაში იყოს როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ სტანდარტებთან.

ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია:

დაწესებულებამ გამოაქვეყნდა აკადემიური პერსონალის სიები თავიანთ ვებ-გვერდზე და ითხოვს ამ რეკომენდაციის რჩევაში გადატანას. ვინაიდან, ეს ცვლილება მოხდა ჩვენი ვიზიტის შემდეგ, ჯგუფი ძალაში ტოვებს რეკომენდაციას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სახელი, გვარი (თავმჯდომარე)

1. ერიკ ენდრიუ გიბსი (თავმჯდომარე)
2. ამჯად მოჰ ისა ქანდილი (თანათავმჯდომარე)
3. ირენა მელუა (წევრი)
4. ეკატერინე ფიფია (წევრი)
5. დავით თოფურია (წევრი)
6. ქეთევან კანკავა (წევრი)
7. მარიამ გორგოძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია

უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და / ან საერთაშორისო დონეზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღტე უნივერსიტეტის მისიაა უზრუნველყოს პიროვნებების ტრანსფორმაცია აკადემიურად საინტერესო, გამოყენებით სწავლებაზე დაფუძნებული გამოცდილების მეშვეობით, რაც სტუდენტებს მოამზადებს საქმიანობისთვის მზად მყოფ გლობალურ მოქალაქეებად. მისია ასახავს უნივერსიტეტის აქცენტს სტუდენტებისთვის ისეთი პრაქტიკული უნარების და გამოცდილების მიწოდებაზე, რომელიც პასუხობს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მისიის განაცხადი ნათელი და ამბიციურია, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს უნივერსიტეტის, როგორც უმაღლეს განათლებაში რეგიონული ლიდერის, პოზიციონირება ინოვაციებზე, გამოყენებით კვლევებზე და ინდუსტრიასთან თანამშრომლობაზე ორიენტირებით.

მისია შეესაბამება ეროვნულ და საერთაშორისო მიზნებს. იგი თანხვედრაშია ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის და ბოლონიის პროცესის მიზნებთან, ხელს უწყობს გამოყენებით სწავლებას და გლობალურ ჩართულობას. უნივერსიტეტის მისია, *შექმნას განსაკუთრებული საგანმანათლებლო გარემო უახლესი სასწავლო მეთოდებით და თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც პროცესის თითოეულ მონაწილეს მისცემს მოტივაციას სრულად აღმოაჩინოს საკუთარი პოტენციალი და შესაძლებლად აქციოს ის, რაც ერთი შეხედვით შეუძლებლად გამოიყურება*, ხაზს უსვამს გამორჩეული სასწავლო და საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფას და წარმოაჩენს მის როლს აკადემიურ სფეროში. მისია ხაზს უსვამს უახლესი სწავლების პედაგოგიკის და ტექნოლოგიების დანერგვას, რაც მიუთითებს განათლების ინოვაციური მეთოდების მიმართ ვალდებულებაზე. ის ასევე ორიენტირებულია ინდივიდების გაძლიერებაზე მათი სრული პოტენციალის მისაღწევად, რაც ასახავს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას. მისიის განაცხადი საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ - გვერდზე, რაც ყველა დაინტერესებული მხარისთვის გამოხატავს გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას. სტუდენტების გლობალურ მოქალაქეებად მომზადებაზე ორიენტაციით, უნივერსიტეტი მხარს უჭერს საქართველოს მიზნებს უზრუნველყოს საგანმანათლებლო სისტემების ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან ინტეგრაცია.

მისიის მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა მისი აქცენტი გამოყენებით სწავლაზე, რაც მოიცავს ინდუსტრიაში განთავსებას, შრომით ბაზართან თანამშრომლობას და სასწავლო გეგმას, რომელიც შემუშავებულია ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული ორიენტაცია მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ პროგრამის დასრულების შემდგომ სტუდენტებს ექნებათ პრაქტიკული უნარები და გამოცდილება, რაც გააძლიერებს მათი დასაქმების შესაძლებლობებს.

არსებობს საზოგადოების და საზოგადოებრივი გავლენის მიმართ ვალდებულება. აღტე უნივერსიტეტი ავლენს მკაფიო ვალდებულებას როგორც ადგილობრივი, ასევე მთლიანად საზოგადოების წინაშე წვლილის შეტანის მიმართ. მისია მოიცავს მიზნებს, რომლებიც უკავშირდება

მეწარმეობას, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას და ინოვაციების მხარდაჭერას, რაც გამოხატავს ინსტიტუციის როლს რეგიონული განვითარების და საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის ხელშეწყობაში.

მისია მოიცავს ძლიერ აქცენტს ინტერნაციონალიზაციაზე, როგორც ძირითად ღირებულებაზე, რაც გამოიხატება უნივერსიტეტის ძალისხმევაში ჩამოაყალიბოს პარტნიორობა საერთაშორისო ინსტიტუტებთან, ხელი შეუწყოს სტუდენტების და პერსონალის მობილობას და წახალისოს კვლევითი თანამშრომლობა საზღვრებს გარეთ. აღნიშნული მისასაღმებელია და შეესაბამება ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ფართო მიზნებს.

ინფორმაცია უნივერსიტეტის მისიის შესახებ აქტიურად არის გაზიარებული და მიღებულია უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ. აღნიშნულს ადასტურებს გარემოს და სტუდენტების სასწავლო გამოცდილებაში განხორციელებული ინვესტიციები და ასახულია სტრატეგიულ გეგმებში. აღნიშნული დემონსტრირებს, რომ მისია ფართოდ არის ინტეგრირებული დაწესებულების მართვის და გადაწყვეტილების მიღების კულტურაში და გაზიარებულია პერსონალის და სტუდენტების მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ მისია ამბიციურია, მას აკლია კონკრეტული გაზომვადი შედეგები, რომლებიც გამოხატავს, თუ როგორ გეგმავს დაწესებულება დასახული მიზნების მიღწევის წარმატების შეფასებას. მართალია სტრატეგიული გეგმა მოიცავს შესრულების ძირითად ინდიკატორებს, მისიის განაცხადი შეიძლება გაძლიერდეს უფრო მკაფიო, რაოდენობრივად გაზომვადი მიზნებით, რომლებიც უზრუნველყოფს კავშირს ინსტიტუციის საქმიანობის შესრულებასთან. მაგალითად, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები, სტუდენტთა კმაყოფილების ქულები, ინტერნაციონალიზაციის და ინოვაციების სამიზნე მაჩვენებლები, რომლებიც პირდაპირ აკავშირებს მისიას შედეგებთან და რომელთა მკაფიო მონიტორინგი და შეფასება შესაძლებელია დროთა განმავლობაში.

გაურკვეველია, თუ როგორ გადაჭრის უნივერსიტეტი ინოვაციების განხორციელების საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ მისია საუბრობს ინოვაციების მნიშვნელობაზე, გაურკვეველი რჩება, თუ როგორ არის ეს გათვალისწინებული დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობაში. უნივერსიტეტის გეგმა უნდა მოიცავდეს კონკრეტულ ინიციატივებს, რომლებიც გამოხატავს, თუ როგორ იქნება ინტეგრირებული ინოვაციური პრაქტიკა სასწავლო გეგმაში, კვლევაში და სწავლების მეთოდებში. უნივერსიტეტმა უფრო მკაფიოდ უნდა გაუსვას ხაზი, თუ როგორ გეგმავს ინოვაციების ხელშეწყობას სწავლებაში, კვლევაში და საზოგადოების ჩართულობაში. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ისეთ ინიციატივებს, როგორიც არის აკადემიური პერსონალის ინოვაციური გრანტების დაფინანსება, პროგრამებში ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლების გათვალისწინება და ინოვაციური ლაბორატორიების შექმნა, სადაც სტუდენტები და პერსონალი ითანამშრომლებენ ინტერდისციპლინური პროექტების ფარგლებში. მსგავსი საკითხები არსებობს ინტერნაციონალიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენებასთან დაკავშირებით, რისთვისაც საჭიროა უფრო მკაფიო მიზნების და თანმიმდევრული ქმედებების ჩამოყალიბება მისიის შესრულების უზრუნველყოფისთვის.

აღსანიშნავია, რომ შეზღუდულია კვლევაზე ორიენტაცია. დაწესებულებას, რომელიც მიზნად ისახავს გახდეს ლიდერი საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ტრანსფორმაციაში, ესაჭიროება ძლიერი ორიენტაცია კვლევით სრულყოფილებაზე, განსაკუთრებით პერსონალს და სტუდენტებს შორის აკადემიური კვლევითი კულტურის ხელშეწყობის თვალსაზრისით. წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულების მისწრაფებების უკეთ ასახვის მიზნით, უნივერსიტეტმა მისიაში მეტი აქცენტი უნდა გააკეთოს კვლევაზე. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია კვლევითი პროდუქტიულობის,

აკადემიური პერსონალის გამოქვეყნებების და საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის კონკრეტული მიზნების დასახვით და სტრატეგიული გეგმით აღნიშნული აქტივობების ადეკვატური მხარდაჭერის უზრუნველყოფით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მისიის განაცხადი; სტრატეგიული გეგმა; ძირითადი შესრულების ინდიკატორები; გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან და სხვა.
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები: • სასურველია, მისიის გაძლიერება მასში მკაფიო, გაზომვადი აკადემიური მიზნების გათვალისწინებით, რომლებიც ასახავს უნივერსიტეტის მისწრაფებებს. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მიზნებს, რომლებიც უკავშირდება სტუდენტთა კმაყოფილებას, საერთაშორისო თანამშრომლობას, დასაქმების მაჩვენებლებს, კვლევით შედეგებს და ინოვაციურ საზომებს. • სასურველია, მეტი აქცენტი გაკეთდეს კვლევით სრულყოფილებაზე, კვლევითი პროდუქტიულობის, აკადემიური პერსონალის გამოქვეყნებების და საერთაშორისო თანამშრომლობის კონკრეტული მიზნების დასახვით.
საუკეთესო პრაქტიკა(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ - ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ - ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აღტე უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ყოვლისმომცველი 7 - წლიანი სტრატეგიული გეგმა (2024 - 2031), თანხლები 3 - წლიანი სამოქმედო გეგმებით. სტრატეგიული გეგმა ასახავს უნივერსიტეტის ვალდებულებას მისიის შესრულების მიმართ და აგებულია რამდენიმე ძირითად საყრდენზე: სწავლა - სწავლების სრულყოფილება, ინტერნაციონალიზაცია, კვლევითი განვითარება, საზოგადოების ჩართულობა და ფინანსური მდგრადობა.

სტრატეგიული განვითარების გეგმის ძირითადი ძლიერი მხარეებია მკაფიო და ამბიციური ხედვა, ყოვლისმომცველი სტრატეგიული მიზნები, ძირითადი შესრულების ინდიკატორების ინტეგრაცია და ფინანსურ მდგრადობაზე ორიენტაცია.

სტრატეგიული გეგმა მოიაზრებს 2031 წლისთვის ალტე უნივერსიტეტის საქართველოს და რეგიონის ერთ - ერთ წამყვან კერძო უნივერსიტეტად ჩამოყალიბებას. ხედვა მოიცავს ისეთ მიზნებს, როგორიც არის მომავალზე ორიენტირებული სასწავლო გამოცდილების მიწოდება, გამოყენებითი კვლევის ხელშეწყობა და საზოგადოებაზე და გარემოზე დადებითი გავლენის მოხდენა.

დაგეგმვა არის მონაწილეობითი პროცესი, რომელიც აქტიურად რთავს პერსონალს, სტუდენტებს, დამსაქმებლებს და დაწესებულების სხვა დაინტერესებულ მხარეებს და მოიცავს ყველა ასპექტს, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დაწესებულების ფუნქციონირებისთვის, მათ შორის არის ხარისხის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვა, ადამიანური და მატერიალური რესურსები.

გეგმა მოიცავს მიზნების ფართო სპექტრს, მათ შორის სტუდენტური გამოცდილების გაძლიერებას, საერთაშორისო პარტნიორობების გაუმჯობესებას, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარებას და კვლევითი კულტურის ხელშეწყობას. თითოეულ მიზანი მხარდაჭერილია კონკრეტული ქმედებებით, როგორიც არის სწავლების მართვის სისტემის (LMS) დანერგვა და კარიერული სერვისების გაფართოება.

სტრატეგიულ გეგმაში თითოეული მიზნისთვის გათვალისწინებულია მკაფიოდ განსაზღვრული ძირითადი შესრულების ინდიკატორები. მაგალითად, სტუდენტთა კმაყოფილების, კურსდამთავრებულთა რაოდენობის, კურსდამთავრებულთა ჩართულობის და აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნულები. აღნიშნული ძირითადი შესრულების ინდიკატორები ქმნის მკაფიო ჩარჩოს პროგრესის გასაზომად და უზრუნველსაყოფად, რომ უნივერსიტეტი იმყოფება სწორ გზაზე სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

გეგმა ხაზს უსვამს უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის საჭიროებას შემოსავლების წყაროების დივერსიფიცირების, საბიუჯეტო სისტემების გაუმჯობესების და საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის გაძლიერების გზით. აღნიშნული ორიენტაცია მნიშვნელოვანია დაწესებულების გრძელვადიანი ზრდის და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

არსებობს რამდენიმე სფერო, რომელშიც შესაძლებელია გეგმის გაუმჯობესება. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული მიზნები ამბიციურია, გეგმას აკლია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება რესურსების (ფინანსური, ადამიანური და ტექნოლოგიური) განაწილება აღნიშნული მიზნების მხარდასაჭერად. მაგალითად, ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს პერსონალში, პარტნიორობებსა და სტუდენტთა მობილობის პროგრამებში, ხოლო არსებული გეგმა არ ითვალისწინებს რესურსების განაწილების მკაფიო ჩარჩოს.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილია ძირითადი შესრულების ინდიკატორები, სტრატეგიული გეგმა არ აღწერს აღნიშნული ინდიკატორების პროგრესის მონიტორინგის და შეფასების არსებულ მექანიზმებს. უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულია საქმიანობის შესრულებაზე დაკვირვების უფრო სტრუქტურირებული მიდგომა, რეგულარული მიმოხილვის ციკლების და კორექტირების ჩათვლით, რამაც უნდა უზრუნველყოს გეგმის შესაბამისობა ინსტიტუციურ მიზნებთან.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს კვლევასთან დაკავშირებულ მიზნებს, თუმცა მათ არ ენიჭება ისეთივე მნიშვნელობა, როგორც სწავლების და ინტერნაციონალიზაციის მიზნებს. უნივერსიტეტის რეგიონულ ლიდერად გახდომის ამბიციის გათვალისწინებით, მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს

კვლევით განვითარებაზე, მათ შორის კვლევითი პროექტების დაფინანსებაზე, პერსონალის წახალისებაზე და სტუდენტური კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: სტრატეგიული გეგმა; მისიის განაცხადი; ძირითადი შესრულების ინდიკატორები; გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან და სხვა.
რეკომენდაციები: - რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს შეთავაზებული ყოვლისმომცველი მონიტორინგის და შეფასების სისტემის სრული განხორციელება, რომელიც თვალს ადევნებს სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული ძირითადი შესრულების ინდიკატორების პროგრესს და ითვალისწინებს რეგულარულ განხილვებს, წლიურ ანგარიშებს და კორექტირებებს, რათა დროთა განმავლობაში უზრუნველყოს სტრატეგიული მიზნების რელევანტურობა და მიღწევადობა. - რეკომენდებულია, ალტე უნივერსიტეტმა უფრო ძლიერი აქცენტი გააკეთოს კვლევაზე და ინოვაციებზე, რეგიონში წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩამოყალიბების მიზნის მისაღწევად. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს უფრო ამბიციური კვლევითი მიზნების დასახვას, კვლევების დაფინანსების უზრუნველყოფას და საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან პარტნიორობის ჩამოყალიბებას.
რჩევები: სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს რესურსების განაწილების დეტალური გეგმა, რომელიც თითოეულ სტრატეგიულ მიზანთან დააკავშირებს ფინანსურ, ტექნოლოგიურ და ადამიანურ რესურსებს. აღნიშნული უზრუნველყოფს სიცხადეს იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს დაწესებულება თავისი მიზნების მიღწევას და რესურსების ეფექტურ განაწილებას.
საუკეთესო პრაქტიკა(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება მოწინააღმდეგე დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2. უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის

მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ - ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ უსდ - ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტს გააჩნია კარგად განსაზღვრული მრავალდონიანი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც აღწერს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს და მათ დაქვემდებარებას მართვის სხვადასხვა დონეზე. ალტე უნივერსიტეტის სტრუქტურა ითვალისწინებს პარტნიორთა საბჭოს უმაღლეს დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიულ ზედამხედველობას და ორგანიზაციული მიზნების შესაბამისობას ძირითადი დაინტერესებული მხარეების ინტერესებთან. აღნიშნულ მმართველობას მოსდევს დირექტორთა საბჭო და პრეზიდენტი, შემდეგ კი ვიცე - პრეზიდენტები, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ კონკრეტულ სფეროებს, როგორც არის აკადემიური საკითხები, ფინანსები და ოპერაციები, მარკეტინგი და ბიზნესის განვითარება. სასწავლო, ადმინისტრაციული და საოპერაციო ფუნქციების შემსრულებელი განსხვავებული განყოფილებები მიუთითებს ინსტიტუციური საჭიროებების მართვის ყოვლისმომცველ მიდგომაზე. აღნიშნული სტრუქტურა დეტალურად არის აღწერილი ოფიციალურ დოკუმენტებში, როგორც არის უნივერსიტეტის დებულებები, რომლებიც მკაფიოდ ასახავს თითოეული სტრუქტურული ერთეულის როლს, პასუხისმგებლობებს და იერარქიულ ურთიერთობებს. გარდა ამისა, თითოეულ დეპარტამენტს ან ერთეულს გააჩნია დეტალური შიდა დებულებები, რომლებიც უფრო დეტალურად წარმოგვიდგენს მათ კონკრეტულ მოვალეობებს და როლს. უნივერსიტეტი ასევე ითვალისწინებს თითოეული პოზიციის სამუშაო აღწერილობებს, რაც უზრუნველყოფს სიცხადეს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობებში. ადგილზე ვიზიტისას განხორციელებული გასაუბრებების დროს, ხელმძღვანელობამ გამოავლინა თავიანთი როლების და პასუხისმგებლობების საფუძვლიანი ცოდნა და ვალდებულება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიმართ. მათ ჩამოაყალიბეს, თუ როგორ ხორციელდება პროცესების მართვა და კოორდინირება ინსტიტუციურ დონეზე და მათი დეპარტამენტების ფარგლებში. აღნიშნული ასახავს უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტურობას. მთლიანობაში, უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა სათანადოდ არის ჩამოყალიბებული, რათა ხელი შეუწყოს დაწესებულების სტრატეგიულ და საოპერაციო საჭიროებებს, მკაფიოდ განსაზღვრული როლებით და სტრატეგიული ინიციატივების განსახორციელებლად კოორდინირებული მიდგომით. რაც შეეხება მართვის ორგანოების არჩევის და დანიშვნის პროცედურებს, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „ალტე უნივერსიტეტის მართვის ორგანოების ფორმირების წესი“, რომელიც აღწერს უნივერსიტეტში არჩევით და დანიშნით პოზიციებს. ისინი შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს და მიზნად ისახავს არჩევის და დანიშვნის პროცესებში გამჭვირვალობისა და თანასწორობის

უზრუნველყოფას. ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებები მიუთითებს, რომ მმართველი ორგანოების არჩევის და დანიშვნის არსებული პროცედურები ზოგადად აღქმულია როგორც გამჭვირვალე და არ ფიქსირდება პრობლემები სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობის ან პროცესების სამართლიანობის თვალსაზრისით.

თუმცა, მართვის ორგანოების არჩევის და დანიშვნის სამართლებრივი შესაბამისობის გარდა, შესაძლოა არსებობდეს პოტენციური გადაფარვა აკადემიური საბჭოს და დირექტორთა საბჭოს როლებს შორის, ვინაიდან ორივე იმართება უნივერსიტეტის რექტორის მიერ, რომელიც ამავდროულად არის უნივერსიტეტის მფლობელი და პარტნიორთა საბჭოს წევრი. აღნიშნულმა ურთიერთობამ შეიძლება გააჩინოს კითხვები აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების მიღების ავტონომიურობასთან დაკავშირებით, რაც ხაზს უსვამს აკადემიურ ხელმძღვანელობას და მმართველობას შორის უფრო მჭიდრო ინტეგრაციის საჭიროებას, იმისათვის, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი აკადემიური მმართველობის ავტონომიურობასთან დაკავშირებული რისკები. აღნიშნულის გადასაჭრელად, ექსპერტთა ჯგუფს მართებულად მიაჩნია გატარდეს დამატებითი ზომები აკადემიურ ხელმძღვანელობას და მმართველობას შორის უფრო მჭიდრო ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, რაც ხელს შეუწყობს აკადემიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესების დამოუკიდებლობის გაძლიერებას.

ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებულ პროცესებს უმაღლეს დონეზე მართავს დირექტორთა საბჭო, რომელშიც შედიან პრეზიდენტი, სამი დეპარტამენტის ვიცე - პრეზიდენტები და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. საბჭოს წესის თანახმად, სხდომების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა ითვალისწინებს წელიწადში ერთ შეხვედრას. დაწესებულებამ წარმოადგინა 2024 წელს განხორციელებული საბჭოს სხდომის 5 ოქმი და გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სხდომები იგეგმება საჭიროებების და პროცესების საფუძველზე, რომლებიც საჭიროებენ განხილვას და გადაწყვეტას დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტს ურჩია უფრო ხშირად ჩაატაროს სხდომები და დააწესოს აღნიშნული სხდომების წინასწარ განსაზღვრული განრიგი.

რაც შეეხება აკადემიურ და სამეცნიერო საკითხებს, აკადემიური საბჭო და სკოლის საბჭოები ფაკულტეტის დონეზე ზედამხედველობას უწევენ აღნიშნულ საკითხებს. დადგენილი პროცედურების თანახმად, აკადემიური საბჭო ასევე იკრიბება მინიმუმ წელიწადში ერთხელ. 2024 წლის ივლისში ჩატარდა ორი აკადემიური შეხვედრა, რომელსაც დებულების შესაბამისად ესწრებოდა სხვადასხვა წარმომადგენელი. თუმცა, ვიცე - პრეზიდენტი აკადემიურ და სამეცნიერო საკითხებში არ იყო ჩართული არც საბჭოს და არც აკადემიური საბჭოს სხდომებში. ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს უნივერსიტეტს გააძლიეროს აკადემიური მიმართულების ვიცე - პრეზიდენტის ჩართულობა აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებულ მართვის პროცესებში. ფაკულტეტის დონეზე, სკოლის საბჭოები განიხილავენ და მართავენ აკადემიურ საკითხებს, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი მხარს უჭერს აკადემიურ პროცესებს უნივერსიტეტის დონეზე.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მართვის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემის დოკუმენტი, რომელიც აღწერს მართვის პროცესის გასაუმჯობესებლად გამოყენებულ ინსტრუმენტებს. შესრულების მართვის ციკლი მოიცავს დაგეგმვის, მონიტორინგის, განვითარების, შეფასებისა და მოტივაციის ეტაპებს. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისინი აქტიურად მუშაობენ ადამიანური რესურსების მართვის პროცესში მონიტორინგის და შეფასების სისტემის ინტეგრირებაზე და მომავალ წელს გეგმავენ აღნიშნული პროცესების გაციფრულებას სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.

გასაუბრების დროს შესაბამისმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საბჭოს და აკადემიური საბჭოს სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები ეცნობება და ვრცელდება უნივერსიტეტის შესაბამის წარმომადგენლებს და სტრუქტურულ ერთეულებს შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით, შეხვედრების შემდეგ მოკლე დროში. ელექტრონული კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით

უნივერსიტეტს გააჩნია რამდენიმე საინფორმაციო მართვის სისტემა, როგორც ეს აღწერილია მე-7 სტანდარტში. ალტე უნივერსიტეტი ძირითადად იყენებს EMIS@alte.edu.ge სისტემას, რომელიც ნაწილობრივ მართავს სტუდენტებთან და აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტბრუნვის პროცესებს. დამატებით, უნივერსიტეტი ტესტირებას უტარებს E - Flow სისტემას, რომელიც უახლოეს მომავალში გახდება შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს შორის დოკუმენტბრუნვის პროცესების მართვის ძირითადი პლატფორმა. ალტე უნივერსიტეტი მიზნად ისახავს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და უნივერსიტეტის სტრატეგიული და ადმინისტრაციული მართვისთვის საჭირო სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის შეძენით გამოხატავს პროცესების გაციფრულების ვალდებულებას. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტი ფუნქციონირებს EMIS და QMS სისტემების გამოყენებით. გარდა ამისა, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ბიზნეს უწყვეტობის და რისკების მართვის გეგმა, რომელიც აღწერს ყველა ბიზნესპროცესს, რომელიც უკავშირდება დაწესებულების ადმინისტრაციულ და აკადემიურ საქმიანობას. გეგმა განსაზღვრავს როლებს, პასუხისმგებლობებს, რისკებს და შემამცირებელ სტრატეგიებს აღნიშნული პროცესების ეფექტური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

ალტე უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა მკაფიოდ განსაზღვრავს უნივერსიტეტის ვალდებულებას ინტერნაციონალიზაციის მიმართ და მის მნიშვნელობას უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების პროცესში. უნივერსიტეტის სამწლიან სამოქმედო გეგმებში აღწერილია ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული რამდენიმე აქტივობა თავისივე ინდიკატორებით. განხორციელების პროცესის და უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების მხარდაჭერის მიზნით, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და ინტერნაციონალიზაციის ინიციატივების ეფექტურობის შეფასების მექანიზმები. ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტს შესთავაზა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაში ჩამოთვლილი შეფასების ინდიკატორების პირდაპირ დაკავშირება პოლიტიკით გაცხადებულ შვიდ მიზანთან. დამატებით, ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტს სთავაზობს უზრუნველყოფილი იყოს ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში განსაზღვრული აქტივობების და მათი შეფასების მექანიზმების შესაბამისობა სამწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილ ინდიკატორებთან. გასაუბრების დროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ახლად დანიშნულმა დირექტორმა აღნიშნა, რომ აღნიშნული მიმართულებით მიმდინარეობდა მუშაობა და განახლებული დოკუმენტები მალე იქნებოდა ხელმისაწვდომი.

- რეკომენდებულია, სტომატოლოგიური ფანტომის თავები განთავსდეს უფრო დიდ სივრცეში და უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული თავების საკმარისი რაოდენობა. ასევე, შეიზღუდოს თითოეულ ფანტომზე მომუშავე სტუდენტების რაოდენობა ერთ სტუდენტამდე კონკრეტულ დროში, რომელსაც აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაეხმაროს სხვა სტუდენტი.

- რეკომენდებულია, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) და მედიცინის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ინგლისურენოვანი კატალოგების უზრუნველყოფა. - რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურ პერსონალმა შეძლონ ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია (ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს პროგრამის სტუდენტების სწავლების ენას).
რჩევები: სასურველია, სტომატოლოგიის პროგრამის სასწავლო გეგმაში მკაფიოდ იყოს ინიცირებული ციფრული სტომატოლოგიის ასპექტები.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ნათელია და კარგად არის აღწერილი დოკუმენტებში, თუმცა აღწერილობითი ნაწილი (როგორც პროგრამებში, ასევე თვითშეფასების დოკუმენტში) კონცენტრირებულია სტუდენტების აკადემიური მოსწრების პირდაპირ შეფასებაზე. აკადემიური მოსწრების მეთოდოლოგიები მრავალფეროვანი, გამჭვირვალე და სამართლიანია. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები კი საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა და არ არის მორგებული დაწესებულების თავისებურებებსა და გამოწვევებზე. გასაუბრების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ სწავლის შედეგების შეფასების დროს პროგრამის ხელმძღვანელი ითვალისწინებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ მოწოდებულ მონაცემებს (მათ შორის დამსაქმებლების). უნდა აღინიშნოს, რომ მედიცინის პროგრამამ ახლახანს გამოუშვა კურსდამთავრებულთა პირველი თაობა, რომლებიც საერთაშორისო სტუდენტები იყვნენ; ისინი დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყნებში და ჯერ კიდევ გადიან დიპლომის აღიარების პროცედურებს და/ან ადგილობრივ სალიცენზიო გამოცდებს. ასე რომ, დამსაქმებელთა გამოკითხვები ნაკლებად რელევანტურია, ისინი ჯერ კიდევ არ გამოუყენებიათ და მხოლოდ ფორმალურად არის შეტანილი სწავლის შედეგების შეფასების სქემაში. იგივე შეიძლება ითქვას კურსდამთავრებულთა გამოკითხვებზე, როგორც სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტზე, რადგანაც კურსდამთავრებულებმა, რომლებთანაც ექსპერტებს ჰქონდათ გასაუბრების

საშუალება, აღნიშნეს, რომ მათ არ დაკავშირებიან რაიმე უკუკავშირთან დაკავშირებით. სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობაზე დაკვირვება განიხილება როგორც კიდევ ერთი ინტერმენტი სწავლის შედეგების შესაფასებლად, და მიუხედავად იმისა, რომ პირველადი მონაცემები ხელმისაწვდომია, არ ხდება რაიმე ანალიზი ან ზომების მიღება, რომ განიხილონ სტატუსის შეჩერების საკითხი, ან დაუკავშირონ ეს პრობლემა დაბალ მიღწევებს სწავლის შედეგების შეფასებაში.

მედიცინის პროგრამისთვის, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა მოიცავს კურსდამთავრებულთა თვითშეფასებას, დასაქმებულთა გამოკითხვას, პორტფოლიოს, დასაქმების მაჩვენებელსა და სწავლის გაგრძელებას. თუმცა, არ არსებობს რომელიმე ამ მეთოდოლოგიის გამოყენების მტკიცებულება. დოკუმენტის თანახმად, ბოლო ორი პუნქტის შეფასება უნდა დაიწყოს 2029 წლიდან. სხვა პროგრამებში, სწავლის შედეგების შეფასების ყველა არაპირდაპირი მეთოდი დაგეგმილია მომავლისთვის (ტურიზმი – დაიწყება 2026 წლიდან, კომპიუტერული მეცნიერებები – 2027 წლიდან, ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისთვის (BBA) – საერთოდ არ არსებობს სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი).

მეორეს მხრივ, მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ისინი აკვირდებიან მათი კურსდამთავრებულების წარმატებას სალიცენზიო გამოცდებზე და სამედიცინო განათლების გაგრძელების კუთხით (რომელიც იქნებოდა ეფექტური მეთოდი ალტე უნივერსიტეტის არსებულ რეალობაში სწავლის შედეგების შესაფასებლად), მაგრამ ამჟამად ეს წარმოადგენს მხოლოდ გეგმას, რომელიც ჯერჯერობით არ არსებობს და ასევე არ არის აღწერილი დოკუმენტებში.

თუმცა, არსებობს პროგრამები, სადაც კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი დაბალია (მაგალითად, ტურიზმის). დოკუმენტებში ვერ ვიპოვეთ ამ საკითხის ანალიზი, ასევე არ აღმოჩნდა რაიმე გეგმა ან ზომები ამ საკითხის მოსაგვარებლად. გასაუბრების დროს ალტე უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ იციან პრობლემის შესახებ და გეგმავენ პროგრამის მოდიფიკაციას, რათა კურსდამთავრებულები უკეთ შეესაბამებოდნენ პროგრამის მიზნებს.

პროგრამის ხელმძღვანელები შეისწავლიან სწავლის შედეგებს და წელიწადში ერთხელ აბარებენ მოხსენებას იდენტიფიცირებული პრობლემების და მიღებული/დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეანალიზებინათ ამ მოხსენებების სამი მაგალითი. ერთ-ერთი ასეთი მოხსენება შეიცავს ერთი ცალკეული სწავლის შედეგის შეფასებას ამ სწავლის შედეგთან დაკავშირებულ კურსთან მიმართებაში. სწავლის შედეგის არაპირდაპირი შეფასების მეთოდად ნახსენებია მხოლოდ სტუდენტთა გამოკითხვა.

სწავლის შედეგის შეფასებასთან დაკავშირებული სხვა საკითხია სწავლის შედეგების სამიზნე დონეები. სწავლის შედეგების უმეტესობის სამიზნე დონეები უმეტესი პროგრამებისთვის დაახლოებით 70% –ია, რაც შეიძლება საკმაოდ დაბალ ნიშნულად ჩაითვალოს სამედიცინო და სტომატოლოგიის პროგრამების შემთხვევაში. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის შეფასებების სამიზნე დონე 65%, რაც დაუშვებლად დაბალია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს გამოცდები აფასებს საბაზისო კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია სამედიცინო პროგრამის ყველა კურსდამთავრებულისთვის. როგორც გასაუბრებებმა აჩვენა, ეს ციფრები (65 – 70%) შეფასებითია და არ არსებობს მათი დამამტკიცებელი მონაცემები. ალტე წარმომადგენლები (პროგრამის ხელმძღვანელები) ჯერ გეგმავენ გაანალიზონ, თუ რა წარმატების მაჩვენებლები აქვთ და შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, გადახედონ სამიზნე დონეებს. ეს ანალიზი შეიძლებოდა უფრო ადრე ჩატარებულიყო.

საერთო ჯამში, გასაუბრებიდან გამომდინარე ექსპერტებს შეუძლიათ დაასკვნათ, რომ სწავლის შედეგების იდეა, მათი შეფასება და ამ პროცესის მნიშვნელობა არ არის გაზიარებული საუნივერსიტეტო

საზოგადოებაში, რადგან სტუდენტებისა და მასწავლებლების უმეტესობა არ იცნობს თავიანთი კურსების სწავლის შედეგებს და ვერ აცნობიერებენ თავიანთ წვლილს სწავლის შედეგების მიღწევაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში. საორიენტაციო შეხვედრების დროს სტუდენტებს აცნობენ უნივერსიტეტს, მაგრამ არ ხდება ინფორმაციის მიწოდება პროგრამის შინაარსისა და მიზნების, ან სწავლის შედეგების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები, გასაუბრებების შედეგები და ა.შ. უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. თვითშეფასების ანგარიში; პროგრამები და სილაბუსები; სწავლის შედეგების რუკები; სწავლის შედეგების შეფასების გეგმები; სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშის ნიმუში; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კითხვარები; გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება (წინადადებები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. • რეკომენდებულია, სწავლის შედეგები განხილული იყოს როგორც სასწავლო პროცესის მთავარი მამოძრავებელი ძალა და მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის მათი წარდგენა გაზომვადი მიზნის სახით. • რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდების რეალისტურად დაგეგმვა და პრაქტიკაში გამოყენება. • რეკომენდებულია, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით სწავლის შედეგების შეფასება იყოს უწყვეტი პროცესი და არ გადაიდოს 2-3 წლით. • რეკომენდებულია, მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაში კრიტიკული უნარების სწავლის შედეგების გაზომვის სამიზნე დონე იყოს 65%-ზე მაღალი.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებამ შეიძლება გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა სამიზნე ნიშნული ან კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღტე უნივერსიტეტს აქვს პერსონალის მართვის მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკა, რომელიც ფოკუსირებულია ისეთ ძირითად საკითხებზე, როგორიცაა სამუშაო ძალის შესაბამისობა უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან, პერსონალის დასაქმება და მოზიდვა, პერსონალის ინტეგრირება სამუშაო გარემოში და პერსონალის დატვირთვის მენეჯმენტი. ის ასევე მოიცავს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების გადახედვას, კომპენსაციას და პერსონალის შეფასებას, წახალისებასა და პროფესიულ განვითარებასთან ერთად. გარდა ამისა, პოლიტიკა შეიცავს აკადემიური პერსონალის აფილირების საკითხს და შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის პროცესს. მოქმედებს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის აყვანის გამჭვირვალე და ობიექტური პროცედურები, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვას და დაქირავებას.

ზოგადად განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის აფილირების წესები, პირობები და პასუხისმგებლობები. აფილირების პოლიტიკის მიხედვით, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს მოეთხოვება კვლევის დაფინანსების კონკურსების ორგანიზება გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში, საერთაშორისო ტრენინგებსა და კონფერენციებში მონაწილეობა და სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება მაღალ-რეიტინგულ ჟურნალებში. აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგებმა აჩვენა, რომ არსებული აფილირების პოლიტიკა გვაწვდის ფართო ჩარჩოს, რომელიც ასახავს ურთიერთობას უნივერსიტეტსა და მის აკადემიურ პერსონალს შორის. თუმცა, როგორც ჩანს, პოლიტიკა საკმაოდ ზოგადია, მასში არ არის გამოყოფილი კონკრეტული დებულებები, რომლებიც მიზნად ისახავს წარმატებული კვლევითი გარემოს შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ ის თანამშრომლებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ შიდა კვლევითი გრანტები, არ იძლევა მოწინავე სამეცნიერო მუშაობისთვის აუცილებელი დამხმარე აქტივობების დაფინანსების შესაძლებლობას, როგორიცაა პუბლიკაციები, საკონფერენციო პრეზენტაციები ან კვლევის გავრცელება. მკაფიო, მასტიმულირებელი კვლევითი პოლიტიკის არარსებობა აკნინებს უნივერსიტეტის უნარს განავითაროს კონკურენტული კვლევითი გარემო. კვლევითი პროფილის გასაუმჯობესებლად, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა განიხილოს აფილირების მკაფიო, დეტალური პოლიტიკის ჩამოყალიბების შესაძლებლობა, კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სტიმულირებით. მკაფიო და მასტიმულირებელი კვლევის პოლიტიკის მიღებით, უნივერსიტეტს შეუძლია ხელი შეუწყოს უფრო სიცოცხლისუნარიანი აკადემიური გარემოს

შექმნას, გააძლიეროს მისი კვლევითი შედეგები და გაზარდოს მისი რეპუტაცია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

უნივერსიტეტში დასაქმებულია 472 თანამშრომელი, მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. 166 აკადემიური პერსონალიდან 63 არის პროფესორი, 52 – ასოცირებული პროფესორი, 35 – ასისტენტ პროფესორი და 16 – ასისტენტი. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 27 –ს, მათ შორის 11 აფილირებული პროფესორია, 10 – ასოცირებული პროფესორი, 5 – აფილირებული ასისტენტ პროფესორი და 1 – აფილირებული ასისტენტი. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში ჩართულია 3 საერთაშორისო აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, ხოლო 1 საერთაშორისო აკადემიური, სამეცნიერო ან მოწვეული პერსონალი ჩართულია კვლევაში. უნივერსიტეტს ასევე ჰყავს 218 მოწვეული პერსონალი, რომლებიც ჩართულნი არიან სწავლებაში და 88 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. მიუხედავად იმისა, რომ ეს მყარი საფუძველია, რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა აქტიურად გაზარდოს აფილირებული პერსონალის რაოდენობა, რათა გააუმჯობესოს მისი აკადემიური შედეგი, ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის უფრო მეტ ჩართულობას და აიმაღლოს რეპუტაცია ფართო აკადემიურ საზოგადოებაში.

უნივერსიტეტს აქვს დოკუმენტი სახელწოდებით „სამუშაო გარემოში ინტეგრირების პროცედურა“, რომელიც არეგულირებს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრირების საკითხს. ადამიანური რესურსის განვითარების და საქმის წარმოების დეპარტამენტის დირექტორთან, ასევე აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგებმა აჩვენა, რომ ეს პროცედურა ეფექტურად ფუნქციონირებს, და ახალი პერსონალის საუნივერსიტეტო გარემოში ინტეგრირება თავისუფლად ხორციელდება. ახალი თანამშრომლების წარდგენის სტრუქტურირებული პროცესი, სათანადო მხარდაჭერასთან და მკაფიო ინსტრუქციებთან ერთად, უზრუნველყოფს მათ სწრაფ აკლიმატიზაციას თავიანთ როლებსა და პასუხისმგებლობებთან, რაც ხელს უწყობს დადებითი და ნაყოფიერი სამუშაო გარემოს შექმნას სამუშაოს დასაწყისშივე.

აღინიშნა, რომ საერთაშორისო პროგრამებში ჩართულ ზოგიერთ თანამშრომელს არ შეეძლო ინსტრუქციების ენაზე კომუნიკაცია (იხ. 3.2. ზემოთ). უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ პერსონალს შეეძლოს პროგრამის ენაზე თავისუფლად კომუნიკაცია.

უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს პერსონალის მართვის პროცესში, ცხადია, რომ ალტე უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების ჩარჩო. უნივერსიტეტი იყენებს შესრულებაზე ორიენტირებულ შეფასების მეთოდს, რომელიც ფორმულირებულია „ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასების პროცედურაში“. ეს პროცედურა უზრუნველყოფს, რომ მოხდეს პერსონალის სისტემატური შეფასება, ხოლო შედეგები აქტიურად გამოიყენება პერსონალის მართვის პრაქტიკაში.

უნივერსიტეტი აჩვენებს აშკარა პასუხისმგებლობას, რომ ხელი შეუწყოს თავისი თანამშრომლების ზრდასა და განვითარებას. პერსონალის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს პროფესიული განვითარების ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც ხელს უწყობს მუდმივ გაუმჯობესებას და განვითარებად საგანმანათლებლო სივრცეში ადაპტირებას. თვითშეფასების ანგარიშში უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს პერსონალის დაჯილდოების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის მადლობის გამოცხადება, ერთჯერადი ფულადი პრემია, ხელფასის დანამატები ან ზრდა, ფასიანი საჩუქრები და დაწინაურება. ეს წამახალისებელი ზომები პირდაპირ არის დაკავშირებული შესრულების შეფასებასთან, რაც უზრუნველყოფს, რომ განსაკუთრებული წვლილი აღიარებული იქნას და სათანადოდ დაჯილდოვდეს. უნივერსიტეტში მოქმედებს ლექტორების ურთიერთდაკვირვების სისტემა, რაც ხაზგასმული იქნა ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის კლასების ლექტორებთან გასაუბრების დროს.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მკაფიო საკვალიფიკაციო სტანდარტები აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის მიმართ შესაბამისი პროცედურებითა და სამუშაო აღწერილობით. ის უზრუნველყოფს, რომ დაქირავებული პერსონალი აკმაყოფილებდეს მოცემულ კვალიფიკაციებს აპლიკანტების დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის საფუძველიანი შეფასებით. საკადრო დოკუმენტაციის საფუძველიანი ანალიზით დადგინდა, რომ ყველა დასაქმებული თანამშრომელი აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები, გასაუბრებების შედეგები და ა.შ.

- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაოზე აყვანის პროცედურა;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოზე აყვანის პროცედურა;
- ვაკანტური ადგილის მართვის პოლიტიკა;
- სამეცნიერო პროდუქტიულობის შესწავლა;
- თანამშრომელთა სამუშაო სივრცეში ინტეგრირების პროცედურა;
- საკადრო დოკუმენტაცია;
- ხელშეკრულების ნიმუშები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ვებ-გვერდი;
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, კვლევითი პროფილის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს მკაფიო, დეტალური აფილირების პოლიტიკის ჩამოყალიბება, კვლევის და გამოქვეყნებების აქტივობებისთვის სპეციფიკური წამახალისებელი მექანიზმებით;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აქტიურად გაზარდოს აფილირებული პერსონალის რაოდენობა აკადემიური შედეგების გასაძლიერებლად, აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად და ფართო აკადემიურ საზოგადოებაში რეპუტაციის ასამაღლებლად.
- რეკომენდებულია, რომ პერსონალის ყველა წევრს შეეძლოს პროგრამის სასწავლო ენაზე კომუნიკაცია.

რჩევები:

არ ეხება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, მონიშნეთ დაწესებულების შეფასება სტანდარტის მოცემული კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით:

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ - ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების და სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში დასაქმებულია 218 მოწვეული პირი, რომელიც მოიცავს 166 აკადემიურ პერსონალს, რომელთაგან 27-ს გაფორმებული აქვს აფილირების ხელშეკრულება დაწესებულებასთან. მოწოდებული დოკუმენტები მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი რეგულარულად აახლებს პერსონალის სასწავლო დატვირთვას ყოველ სემესტრში, რათა ის შეესაბამისობაში იყოს მათ კონკრეტულ როლებთან და პასუხისმგებლობებთან. ეს სისტემატური მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სამუშაო დატვირთვა მორგებული იქნას აკადემიური პერსონალის თითოეული წევრის უნიკალურ წვლილსა და ფუნქციებზე. უნივერსიტეტი ასევე რეგულარულად ახდენს დაწესებულების მიღმა მომუშავე მისი პერსონალის სამუშაო დატვირთვის მონიტორინგს. ეს პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ ფაკულტეტის წევრებმა ეფექტურად დააბალანსონ თავიანთი პასუხისმგებლობები, როგორც უნივერსიტეტში, ისე მის მიღმა არსებულ გარემოში. დოკუმენტაცია ამტკიცებს ამ მიდგომას, ხოლო გასაუბრებები მეტყველებს უნივერსიტეტის მიღმა არსებული სამუშაო დატვირთვის მონიტორინგის ეფექტურობაზე.

უნივერსიტეტს აქვს მკაფიო მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური პროგრამებისთვის წაყენებულ სამტატო მოთხოვნებს; როგორც გათვლილია, თითოეულ პროგრამაში უნდა მუშაობდეს ორი პროფესორი, ორი ასოცირებული პროფესორი, ერთი ასისტენტ-პროფესორი და ერთი ასისტენტი. ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ეს რაოდენობა გასამმაგებულია პროგრამის უნიკალური მოთხოვნებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ინარჩუნებს პერსონალის სტუდენტებთან მიმართების თანაფარდობას ერთი აკადემიური პერსონალით ყოველ 50 სტუდენტზე. რაც შეეხება მოწვეულ პერსონალს, პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე საბაკალავრო და/ან ერთსაფეხურიან პროგრამებზე უნდა იყოს მინიმუმ ოთხი მოწვეული პერსონალი, ხოლო სამაგისტრო პროგრამებზე – ორი მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა მოიცავს არა მხოლოდ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობას, არამედ ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სასწავლო სივრცის ხელმისაწვდომობა, სტუდენტური საცხოვრებლის ადეკვატურობა, მატერიალური რესურსები, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა და ტექნიკური აღჭურვილობა. ეს ჰოლისტური მიდგომა, როგორც დეტალურად არის აღწერილი სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მე-5 მუხლში, მიუთითებს, რომ დაწესებულება მზად არის შეუსაბამოს პერსონალთან დაკავშირებული თავისი სტრატეგიები სტუდენტების როგორც მიმდინარე, ისე მოსალოდნელ რაოდენობას, ასევე თითოეული პროგრამის სპეციფიკურ საჭიროებებს.

წარმოდგენილი დოკუმენტები ნათლად ასახავს უნივერსიტეტსა და მის აფილირებულ პერსონალს შორის დადებულ ფორმალურ შეთანხმებებს, რასაც თან ახლავს ხელშეკრულებების ნიმუში. ეს შეთანხმებები აღწერს აფილირების წესებსა და პირობებს, რაც უზრუნველყოფს, რომ როგორც უნივერსიტეტმა, ისე აფილირებულმა პირებმა გაიაზრონ თავიანთი შესაბამისი როლები, პასუხისმგებლობები და მოლოდინები.

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ასახავს უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დაკავების მოსურნე კანდიდატების მიმართ წაყენებულ კონკრეტულ მოთხოვნებს: პროფესორად არჩევისთვის პირი უნდა ფლობდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს და ჰქონდეს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში არანაკლებ 6 წლიანი გამოცდილება; ისინი დაინიშნებიან 5 წლის ვადით. ასოცირებული პროფესორის პოზიციის დასაკავებლად, კანდიდატს უნდა გააჩნდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სულ მცირე 3 წლიანი შესაბამისი გამოცდილება; ინიშნება 3 წლის ვადით. ასისტენტ-პროფესორიც უნდა ფლობდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს და ინიშნება 3 წლის ვადით. დოქტორანტურის სტუდენტები შეიძლება დაინიშნონ ასისტენტებად 3 წლის ვადით. დოქტორის ხარისხისა და გამოცდილების გარდა, რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის დაქირავებისას უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს პუბლიკაციების

მონაცემები და აკადემიურ საზოგადოებაში შეტანილი წვლილი, როგორც თითოეული კანდიდატის შესაბამისობის ძირითადი ინდიკატორი. უნივერსიტეტს დადგენილი აქვს მკაფიო კრიტერიუმები, მათ შორის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან თანაფარდობა, რომელიც ამჟამად არის 1.9:1–ზე, ხოლო 2027 წლისთვის გამიზნულია რომ ის იყოს 2.1:1–ზე. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა პერსონალის საერთო რაოდენობასთან არის 0.3:1, რომელიც, სავარაუდოდ, იგივე დარჩება 2027 წლისთვის. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ამჟამინდელი თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 0.75:1, რომელმაც 2027 წლისთვის უნდა მიაღწიოს 1:1. 8-ს. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან არის 0.18:1, 2027 წლისთვის კი გამიზნულია, რომ ის გაიზარდოს 0.2:1–მდე. ამასთან, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან არის 27.5:1, 2027 წლისთვის კი სამიზნე ნიშნულია 40:1. ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან არის 0.04:1, 2027 წლისთვის ცვლილება არ არის მოსალოდნელი. აფილირებული პერსონალის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობასთან ამჟამად არის 0.07:1, სამიზნე ნიშნულია 0.27:1 2027 წლისთვის. აფილირებული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან არის 0.01:1, 2027 წლისთვის კი სამიზნეა 0.1:1.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: თვითშეფასების ანგარიში; პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; დატვირთვის სქემები; სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია; გასაუბრების შედეგები;
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის შერჩევისას, დოქტორის ხარისხის და გამოცდილების გარდა, მხედველობაში იყოს მიღებული პუბლიკაციების ჩამონათვალი და აკადემიურ საზოგადოებაში შეტანილი წვლილი, როგორც პოზიციისთვის თითოეული კანდიდატის შესაბამისობის ძირითადი მაჩვენებელი.
რჩევები: არ ეხება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას; სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, კარიერული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს; ასევე უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ალტე უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ყოვლისმომცველი რეგულაციები, რომლებიც არეგულირებს სტუდენტის სტატუსს, მათ შორის ჩარიცხვას, შეჩერებას, აღდგენას, შეწყვეტას, მობილობას და წინარე სწავლის აღიარებას თითოეული აკადემიური დონისთვის. ეს რეგულაციები ასახულია „საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ და შექმნილია გამჭვირვალედ, სამართლიანად და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. დაწესებულება უზრუნველყოფს ამ დოკუმენტების ხელმისაწვდომობას თავისი ვებგვერდის მეშვეობით, სადაც განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სტუდენტებთან დაკავშირებული ინფორმაციის განყოფილებას. დოკუმენტების ანალიზისა და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებების საფუძველზე, ნათელია, რომ ალტე-ს რეგულაციები სამართლიანად და ეფექტურად ხორციელდება. ალტე-სა და მის სტუდენტებს შორის დადებული ხელშეკრულებები ნათლად ასახავს ორივე მხარის უფლებებსა და მოვალეობებს. სტუდენტებს სრულყოფილად განუმარტავენ ამ პირობებს ხელშეკრულების გაფორმებამდე.

ინსტიტუტმა ჩამოაყალიბა ყოვლისმომცველი ჩარჩო საერთაშორისო სტუდენტების მიღებისთვის, რომელიც შეესაბამება ეროვნულ რეგულაციებს. ინსტიტუციური დოკუმენტაციის განხილვა ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავა საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის მკაფიო გზები, რომლებიც არ საჭიროებს ერთიან ეროვნულ გამოცდებსა და საერთო სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეობას. ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პირთა მიღების მასშტაბები და კრიტერიუმები განისაზღვრება დაწესებულების შინაგანაწესით და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ წესებს. რაც შეეხება ენობრივი კომპეტენციის შეფასებას, დაწესებულება ავლენს სისტემურ მიდგომას ინგლისური ენის სათანადოდ ცოდნის უზრუნველსაყოფად. პროცესი მოიცავს სავალდებულო უცხოენოვან კომპონენტს ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტებისთვის, სადაც თითოეული პროგრამისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. დაწესებულებამ შეიმუშავა შეფასების ალტერნატიული გზა ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული სტუდენტებისთვის, რომელთაც მოეთხოვებათ ან საერთაშორისოდ აღიარებული ენის სერთიფიკატი ან გასაუბრების წარმატებით გავლა პროგრამის სწავლების ენაზე. დაწესებულებას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატების მისაღები დიაპაზონი და შეფასების საჭირო ქულები. საერთაშორისო სტუდენტებთან გამართულმა გასაუბრებებმა წარმოაჩინა მათი ინგლისური ენის ცოდნის დამატებითი მტკიცებულება. ამ საუბრების დროს სტუდენტებმა გამოავლინეს ინგლისურ ენაზე თავისუფლად და ეფექტურად კომუნიკაციის უნარი.

დაწესებულებას აქვს კარგად ჩამოყალიბებული მექანიზმები, რომლებიც შექმნილია სტუდენტების უფლებების უზრუნველსაყოფად და მათი კანონიერი ინტერესების დასაცავად. ეს მექანიზმები მოიცავს დეტალურ პროცედურებს სტუდენტთა პრობლემების გადასაჭრელად, სამართლიანი მოპყრობის უზრუნველსაყოფად და დავების გადაწყვეტად. გარდა ამისა, დაწესებულება აწვდის მკაფიო და

ხელმისაწვდომ ინფორმაციას გასაჩივრების პროცესთან დაკავშირებით, სადაც ასახულია ის ნაბიჯები, რომლებიც სტუდენტებმა შეიძლება გადადგან, თუ იგრძნობენ, რომ მათი უფლებები დაირღვა ან თუ სურთ გაასაჩივრონ გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენს მათ აკადემიურ ან პიროვნულ სტატუსზე. ეს ჩარჩო უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, და ხელს უწყობს მხარდამჭერ და სამართლიან გარემოს ყველა სტუდენტისთვის. ეს მექანიზმები მოიცავს აკადემიური შეფასებების სტრუქტურირებულ გასაჩივრების პროცესს, ეთიკის კომისიას და ყველაზე ბოლოს სტუდენტთა ომბუდსმენს.

ომბუდსმენი იკვლევს და წყვეტს საკითხებს, რომლებიც წარმოიქმნება სტუდენტებსა და აკადემიურ ან ადმინისტრაციულ პერსონალს შორის. სტუდენტთა ომბუდსმენის საქმიანობა, უფლებები და მოვალეობები რეგულირდება „სტუდენტთა ომბუდსმენის დებულებით“, რომელიც ასახავს სტუდენტების პრობლემების გადასაჭრელად და მათი უფლებების დასაცავად არსებულ პროცედურებსა და სტანდარტებს. ეს რეგულაცია განსაზღვრავს ომბუდსმენის როლს დაწესებულებაში სამართლიანი მოპყრობის უზრუნველსაყოფად და შესაბამისი დავების გადაწყვეტად. სტუდენტთა ომბუდსმენის ინიციატივით, დაწესებულებამ შეიმუშავა ერთგვერდიანი სახელმძღვანელო, რომელშიც ასახულია სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი გასაჩივრების მექანიზმები. ამ სახელმძღვანელოში დეტალურადაა აღწერილი სტუდენტების უფლებები და, მათი დარღვევის შემთხვევაში, გასაჩივრების პროცესი, მათ შორის პასუხისმგებელი სამსახური, ვადები და პროცედურები. თუმცა, გასაუბრების შედეგები ცხადყოფს, რომ სტუდენტები კარგად არ არიან ინფორმირებულნი სტუდენტთა ომბუდსმენისა და მისი ფუნქციების შესახებ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინსტიტუტი საკმაოდ ახალია. ახლად დაარსებული სტუდენტთა ომბუდსმენის ინსტიტუტისა და მისი ფუნქციების შესახებ ინფორმირებულობის გასაზრდელად, სასურველია, რომ ინსტიტუტმა განახორციელოს საყოველთაო ცნობადობის ასამაღლებელი კამპანია სტუდენტთა ომბუდსმენის როლისა და ფუნქციების შესახებ სტუდენტთა გაცნობიერების მიზნით.

სტუდენტთა წარმომადგენლობა უნივერსიტეტის მართვის საკითხებში უზრუნველყოფილია მართვის ორგანოებში მათი მონაწილეობით. სტუდენტთა წარმომადგენლები ჩართულნი არიან თითოეული სკოლის საბჭოსა და აკადემიურ საბჭოში. მიუხედავად ამისა, სტუდენტებთან გასაუბრებებმა ცხადყო, რომ ბევრმა არ იცის მათი ამ უფლების შესახებ, რომ წარმოდგენილნი იყვნენ მმართველ ორგანოებში. სტუდენტებს შორის მათი წარმომადგენლობითი უფლებების შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა აკნინებს მონაწილეობის ამ მნიშვნელოვან შესაძლებლობას უბრალო ფორმალობამდე დაყვანით, რომელსაც არ აქვს პრაქტიკული გამოვლინება. ამის აღმოსაფხვრელად, რეკომენდებულია, რომ ალტე უნივერსიტეტმა განახორციელოს შესაბამისი აქტივობები და მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების ინფორმირებას სკოლის საბჭოში და აკადემიურ საბჭოში მონაწილეობის უფლების შესახებ, მათ შორის საარჩევნო პროცედურების და ამ უფლების მნიშვნელობის შესახებ. ეს კამპანია შეიძლება მოიცავდეს სემინარებს, საინფორმაციო მასალებს და ციფრულ კომუნიკაციას, რათა უზრუნველყოს სტუდენტების სრული ინფორმირებულობა და მათ მიერ მმართველობაში მონაწილეობის უფლების გამოყენება.

სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის სხვა საშუალებაა სტუდენტური თვითმმართველობა. ალტეს ჩამოყალიბებული აქვს სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩევის, მმართველობის, დაფინანსების წესები და პროცედურები, ისევე როგორც თვითმმართველობის მიზნები, რის შესახებაც სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, რაც დასტურდება გასაუბრების შედეგებით. ეს ორგანო აქტიურად მონაწილეობს სტუდენტებისთვის სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვაში. გასაუბრების შედეგები მიუთითებს, რომ სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებულნი სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო პროცესისა და მისი ფუნქციების შესახებ და აქტიურად ერთვებიან ამ ორგანოს მიერ განხორციელებულ ინიციატივებში.

ალტე უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს ყოვლისმომცველი მექანიზმები და რეგულაციები სტუდენტების უფლებების დასაცავად. თუმცა, გაუმჯობესების ძირითადი სფერო მდგომარეობს ამ

დებულებების შესახებ სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებაში. ამ მექანიზმებისა და პროცესების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის გაუმჯობესებით, ალტე-ს შეუძლია უზრუნველყოს, რომ ყველა სტუდენტი სათანადოდ არის მზად, რომ სრულად ჩაერთოს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და გამოიყენოს არსებული რესურსები საუნივერსიტეტო საზოგადოებაში მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. ეფექტურობის შენარჩუნების მიზნით უნივერსიტეტმა უნდა განაგრძოს ამ ზომების შეფასება სტუდენტთა კმაყოფილების რეგულარული გამოკითხვებით და მიგნებებზე დაყრდნობით დახვეწოს სტრატეგიები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების ნიმუში
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები
- გასაჩივრების მექანიზმების ერთგვერდიანი სახელმძღვანელო
- სტუდენტთა საორიენტაციო შეხვედრის დაგეგმვისა და განხორციელების პროცედურა
- ეთიკის კოდექსი
- უსდ-ის შინაგანაწესი
- მმართველ ორგანოებში არჩევის/დანიშვნის წესები და პროცედურები
- გასაუბრების შედეგები.
- ვებგვერდი – alte.edu.ge

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაინერგოს აქტივობები და მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების ინფორმირებას სკოლის საბჭოში და აკადემიურ საბჭოში მონაწილეობის უფლების, მათ შორის არჩევნების პროცედურების და აღნიშნული უფლების მნიშვნელობის შესახებ.

რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ახლად დაარსებული სტუდენტთა ომბუდსმენის ინსტიტუტის და მისი ფუნქციების შესახებ ცნობიერების ამაღლება, კერძოდ, განახორციელოს ყოვლისმომცველი საინფორმაციო კამპანია სტუდენტთა ომბუდსმენის როლის და ფუნქციების შესახებ სტუდენტების ინფორმირების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მოწინდეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებასა და ჩართულობას საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღტე უნივერსიტეტი გვთავაზობს სტუდენტთა მხარდაჭერის მრავალფეროვან სერვისებს, რომელიც შექმნილია სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად და აკადემიური წარმატების ხელშესაწყობად. ეს სერვისები მოიცავს აკადემიურ კონსულტაციას, კარიერის განვითარებას და პიროვნული კეთილდღეობის მხარდაჭერას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა საჭიროებებისადმი ჰოლისტურ მიდგომას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მოსწრების ამაღლებისთვის მიზნით კონსულტაციებს უწევს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, მათ შორის, სკოლის დეკანები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დეპარტამენტები. არსებული კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს წინასწარ ეცნობებათ, რაც დასტურდება გასაუბრების შედეგებით. დაწესებულებასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე სტუდენტები იღებენ დეტალურ ინფორმაციას ხელმისაწვდომი სერვისების, სასწავლო პროცესის, არსებული რეგულაციებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. დაწესებულება სტუდენტებს კონსულტაციას უწევს სხვადასხვა არხის მეშვეობით, მათ შორის პირისპირ შეხვედრებით, ონლაინ კონსულტაციებითა და ჯგუფური სესიებით. სტუდენტებს შეუძლიათ ინფორმაცია მიიღონ ამ სერვისების შესახებ უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის, ელექტრონული ფოსტისა და კამპუსში არსებული ფიზიკური საინფორმაციო დაფების მეშვეობით.

აღტე უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტთა ჩართულობას ექსტრაკურსულუმის აქტივობებითა და სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივებით. სტუდენტური გამოცდილების მართვის სამსახური ორიენტირებულია აქტივობების დაგეგმვაზე, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტის განვითარებას სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის მეშვეობით. სტუდენტებს შეუძლიათ წამოიწყონ და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კლუბში, როგორცაა დებატ კლუბი, კვლევის კლუბი და ფორბსის (Forbes) კლუბი სტუდენტური გამოცდილების სამსახურის მხარდაჭერით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს. მაგალითად, უნივერსიტეტი ყოველწლიურად გამოყოფს სახსრებს თავის ბიუჯეტში ამ საქმიანობის მხარდასაჭერად.

კარიერული მხარდაჭერისა და დასაქმების სერვისების კუთხით, უნივერსიტეტმა დაამყარა ურთიერთობა დამსაქმებლებთან, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სტაჟირებასა და დასაქმებას. კარიერული დაგეგმვისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური სთავაზობს მრავალფეროვან აქტივობებს სტუდენტთა პროფესიული ზრდის მხარდასაჭერად, მათ შორის სტაჟირებებს უნივერსიტეტში და პარტნიორ ორგანიზაციებში, სამუშაო შეხვედრებს სამსახურის ძებნის სტრატეგიების, CV – ის წერის, გასაუბრების უნარების, სამუშაო ბაზრებისა და პოტენციურ დამსაქმებლებთან კავშირების დამყარების შესახებ. კურსდამთავრებულთა უწყვეტი მხარდაჭერა გულისხმობს უნივერსიტეტის რესურსებზე ხელმისაწვდომობას; სამაგისტრო პროგრამებზე ფასდაკლებებს, უწყვეტი განათლების დეპარტამენტის მიერ მომზადებულ და დაგეგმილ ტრენინგ კურსებს, ფასდაკლებას აღტე უნივერსიტეტში ამჟამად მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე; ასევე კავშირების დამყარების შესაძლებლობებს.

დაწესებულება ავლენს სისტემურ მიდგომას კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაზე დაკვირვებითა და ანალიზით, რომელსაც ახორციელებს კარიერის განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური. დასაქმების მონაცემების ანალიზი და კურსდამთავრებულების შესახებ ინფორმაციის კვლევა გამოკვეთს როგორც ძლიერ, ასევე გასაუმჯობესებელ მხარეებს. კურსდამთავრებულების დასაქმების საერთო მაჩვენებელი 70%-ს აღწევს, რომელიც ასახავს დადებით შედეგს კურსდამთავრებულების შრომის ბაზარზე ინტეგრაციის თვალსაზრისით. თუმცა, უფრო დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ უშუალოდ მიღებული კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალია – 35%, რაც მიუთითებს საკმაოდ დიდ აცილებაზე ზოგად დასაქმების უნარსა და კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმებას შორის. ეს აცილება მოითხოვს ყურადღებასა და სტრატეგიულ ჩარევას დაწესებულების მხრიდან.

პროგრამული კუთხით დასაქმების მონაცემების უფრო დეტალური გამოკვლევა ავლენს წარმატების სხვადასხვა დონეს ხვადასხვა აკადემიურ პროგრამაში. განსაკუთრებით ძლიერ შედეგებს ავლენს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრი პროგრამა, სადაც კურსდამთავრებულთა 90% დასაქმებულია თავისი კვალიფიკაციის მიხედვით. მის მსგავსად, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ავლენს შედარებით ძლიერ შესაბამისობას დასაქმებასა და კვალიფიკაციას შორის (63%). თუმცა, სხვა პროგრამებში სურათი უფრო მძაფრია - განსაკუთრებით ტურიზმის (სადაც დასაქმების საერთო მაჩვენებელი 76% -ია, თუმცა მხოლოდ 3% -ია დასაქმებული სფეროს შესაბამისად) და საერთაშორისო ურთიერთობების (მთლიანი დასაქმების 63%-იდან სფეროს მიხედვით დასაქმებულია 11%) პროგრამებში, რაც მიუთითებს მნიშვნელოვან შეუსაბამობაზე პროგრამის შედეგებსა და შრომის ბაზარზე ინტეგრაციას შორის მოცემულ სფეროებში. შესაბამისად, საჭიროა ფოკუსირებული ყურადღება დასაქმების საერთო მაჩვენებელსა და კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მაჩვენებელს შორის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად. ამ გასაუმჯობესებელი ღონისძიებების მხარდასაჭერად, შემოთავაზებულია, რომ ალტე უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მიზანმიმართული სტრატეგიები კვალიფიკაციასა და დასაქმებას შორის შესაბამისობის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით იმ პროგრამებში, რომლებიც აჩვენებენ სფეროს მიხედვით დასაქმების დაბალ დონეს, ასევე გაძლიერდეს კარიერული კონსულტირების სერვისები, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება დარგის მიხედვით დასაქმების შესაძლებლობებზე.

ალტე უნივერსიტეტს პარტნიორული ურთიერთობები აქვს დამყარებული უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მონაწილეობს Erasmus+ პროექტებში, რათა თავის სტუდენტებს შესთავაზოს საერთაშორისო შესაძლებლობები. გასაუბრების დროს სტუდენტებმა გამოავლინეს მაღალი ინტერესი ასეთ პროგრამებში მონაწილეობის მიმართ; თუმცა, მათ აღნიშნეს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების ნაკლებობა. ასე რომ, შემოთავაზებული შესაძლებლობები არ არის საკმარისი სტუდენტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. საერთაშორისო მობილობის პროცესში სტუდენტების მონაწილეობის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა სტატისტიკური მონაცემების შესახებ დოკუმენტები, თუმცა ასეთი დოკუმენტები არ წარუდგენიათ. შესაბამისად, გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, ჯგუფი რეკომენდაციას იძლევა, რომ გაიზარდოს სტუდენტთა ხელმისაწვდომობა საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობებზე საერთაშორისო პარტნიორობებისა და გაცვლითი პროგრამების რაოდენობისა და ნაირსახეობის გაზრდით, ამჟამად არსებული პროექტების მიღმა. საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების რაოდენობის გაზრდის გარდა, ეფექტურობა შეიძლება ასევე გაძლიერდეს ყოველწლიური დაკვირვების სისტემის შექმნით, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება ხელმისაწვდომ შესაძლებლობებზე, განმცხადებლებსა და მონაწილეებზე თვალყურის დევნება, დამატებითი დაფინანსებისა და პარტნიორობის უზრუნველსაყოფად სტრატეგიის შემუშავება და სტუდენტების კმაყოფილების ყოველწლიური გამოკითხვების ჩატარება ამ შესაძლებლობების რაოდენობისა და ხარისხის შესაფასებლად. გარდა ამისა, რადგანაც ექსპერტთა ჯგუფს არ მიეწოდა სტატისტიკური მონაცემები, სასურველია, რომ ალტე-მ შეაგროვოს სტატისტიკური მონაცემები როგორც შემოთავაზებულ საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობებზე, ასევე ასეთ პროგრამებში

სტუდენტთა ჩართულობის შესახებ, მოახდინოს ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძვლიანი ანალიზი, განსაზღვროს გასაუმჯობესებელი სფეროები და განახორციელოს მიზანმიმართული ზომები ამ სფეროში გამოწვევების გადასაჭრელად და შედეგების გასაუმჯობესებლად.

სტუდენტების კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით, ალტე უნივერსიტეტმა დააწესა სტუდენტთა კეთილდღეობისა და აკადემიური წარმატების მენტორის სამსახური. ეს სამსახური სტუდენტებს სთავაზობს პიროვნული და ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით მხარდაჭერას, ეხმარება მათ აკადემიური სტრესის მართვაში, სასწავლო უნარების გაუმჯობესებაში და სასწავლო გამოწვევების დაძლევაში. მენტორი ხელმისაწვდომია ინდივიდუალური კონსულტაციებისთვის და აწყობს სამუშაო შეხვედრებს შესაბამის თემებზე.

საერთაშორისო სტუდენტების სპეციფიკური საჭიროებების გაცნობიერებით, უნივერსიტეტი ავითარებს მიზნობრივ სერვისებს ამ ჯგუფისთვის, მათ შორის გეგმავს კურსდამთავრებულთა საერთაშორისო კლუბის შექმნას ალტე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გლობალური ქსელის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, უნივერსიტეტი პრიორიტეტს ანიჭებს ახალი სტუდენტების ადაპტაციას და ინტეგრაციას საორიენტაციო პროგრამების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას დაწესებულების მისიის, ღირებულებებისა და რესურსების შესახებ პირველივე დღიდან. საორიენტაციო შეხვედრა მიმდინარეობს „სტუდენტთა საორიენტაციო შეხვედრის დაგეგმვისა და განხორციელების პროცედურის“ მიხედვით, რომელიც აწვდის აუცილებელ ინფორმაციას და ხელს უწყობს კავშირების დამყარებას სტუდენტებსა და პერსონალს შორის.

უნივერსიტეტი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მხარდაჭერას შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნით, რომელიც საშუალებას აძლევს მათ მიიღონ სრულფასოვანი განათლება სხვა თანატოლებთან მიმართებით თანაბარ პირობებში.

ალტე უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს სოციალურ და ფინანსურ მხარდაჭერას სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მიმართ. სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სქემა სტუდენტებს საშუალებას აძლევს საფასური ეტაპებად გადაიხადონ სხვადასხვა ფინანსურ სიტუაციების გათვალისწინებით. სოციალურად დაუცველად აღიარებული სტუდენტებისთვის უნივერსიტეტი ახანგრძლივებს სწავლის გადახდის ვადებს სახელმწიფო დაფინანსების მიღებამდე და მოითხოვს მხოლოდ მინიმალურ წინასწარ გადასახადს ამ პერიოდში.

ისეთ ორგანიზაციებთან პარტნიორობით, როგორიცაა ევექსის კლინიკები, უნივერსიტეტი ცდილობს ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების გამრავალფეროვნებას და სთავაზობს სტიპენდიებს უმაღლესი მიღწევების მქონე სტუდენტებს კონკრეტულ პროგრამებში. მხარდაჭერის მექანიზმების შემდგომი გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტი ნერგავს სწავლის სპეციალურ საფასურს სოციალურად დაუცველი სხვადასხვა სტუდენტური სეგმენტისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე პირველკურსელებისთვის. დეკანის სია აკადემიური მიღწევებისთვის, რომელიც დაიწყება 2024-2025 წლის შემოდგომის სემესტრში, დააჯილდოებს სტუდენტებს აკადემიური წარმატებისთვის და წახალისებს მათ ჩართულობას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და კვლევით საქმიანობაში. დეკანის სია მხარდაჭერილია შპს ალტე უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ფონდის მიერ და მიზნად ისახავს ყველა სტუდენტისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- მემორანდუმები
- კარიერული მხარდაჭერის სერვისები
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები

სტუდენტთა საორიენტაციო შეხვედრის დაგეგმვისა და განხორციელების პროცედურა გასაუბრების შედეგები. ვებგვერდი – alte.edu.ge
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, საერთაშორისო პარტნიორობის და გაცვლითი პროგრამების რაოდენობის გაზრდის და გამრავალფეროვნების გზით, არსებული პროექტების მიღმა, გაიზარდოს სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელმისაწვდომობა.
რჩევები: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის - სასურველია, ალტე უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მიზნობრივი სტრატეგიები კვალიფიკაციასა და დასაქმებას შორის შესაბამისობის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით იმ პროგრამებში, რომლებშიც დაბალია დარგის შესაბამისი დასაქმების მაჩვენებლები, ასევე გააძლიეროს კარიერული მხარდაჭერის სერვისები, დარგის შესაბამის დასაქმების შესაძლებლობებზე კონკრეტული აქცენტის გაკეთებით. - სასურველია, ალტე უნივერსიტეტმა შეაგროვოს სტატისტიკური მონაცემები როგორც შეთავაზებული საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების, ასევე აღნიშნულ პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის შესახებ, განახორციელოს ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველიანი ანალიზი, გამოავლინოს გასაუმჯობესებელი სფეროები და განახორციელოს მიზნობრივი ღონისძიებები ამ სფეროში არსებული გამოწვევების დასაძლევად და შედეგების გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მისი ტიპისა და კონკრეტული დარგ(ებ)ის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშეწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას

6.1 კვლევითი საქმიანობა

- უსდ, მისი ტიპისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. - სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა
--

- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ალტე უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევები თანხვედრაშია დაწესებულების მისიის პრიორიტეტებთან. უმაღლესი სასწავლებლის კვლევის პოლიტიკით განსაზღვრული მინიმალური სამეცნიერო სტანდარტებისა და დამხმარე ღონისძიებების შედეგად, კვლევის რაოდენობაც და ხარისხიც საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამ გაუმჯობესებას მოწმობს საერთაშორისო, ეროვნული და საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტების კვლევის შედეგების გამოქვეყნება სხვადასხვა მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში. თვითშეფასებაში აღწერილია პუბლიკაციების რაოდენობა ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებულია Scopus-სა და Web of Science-ში. ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება ბოლო ექვსი წლის განმავლობაში. გარდა ამისა, დაწესებულება ფლობს რამდენიმე ლაბორატორიას და სპეციალიზებულ აღჭურვილობას, რომლებიც ხელმისაწვდომია გარე დაინტერესებული მხარეებისთვის.

უნივერსიტეტში ვიზიტი და წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში კვლევითი საქმიანობა ინტეგრირებულია სწავლებისა და სწავლის პროცესში. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები დიდ სარგებელს იღებენ მოწინავე სამეცნიერო მიღწევებითა და მეთოდოლოგიებით. ფაკულტეტის წევრები სასწავლო გეგმებში რთავენ მიმდინარე კვლევებს, რაც სტუდენტებს აძლევს პრაქტიკულ გამოცდილებას და მათი სფეროების უფრო ღრმა გაგებას. კვლევით პროექტებში ჩართულობით, სტუდენტებს უვითარდებათ კრიტიკული აზროვნების უნარები და იღებენ პრაქტიკულ ცოდნას, რაც ამაყადებს მათ სამომავლო აკადემიური და პროფესიული წარმატებისთვის. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კვლევა კარგად დამკვიდრებული ფუნქციაა ალტე უნივერსიტეტში, მისი ამბიციების გათვალისწინებით ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი გზაა გასავლელი. მართალია აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის პერსონალს მიეწოდება ინფორმაცია საერთაშორისო სასტიკენდიო პროგრამების შესახებ, რაც ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევის ინტერნაციონალიზაციას და ამავდროულად პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მისი მასშტაბები მაინც შეზღუდულია.

კვლევითი სამუშაოების და პუბლიკაციების საერთაშორისო კომპონენტი მუდმივ სტიმულირებასა და მხარდაჭერას მოითხოვს. უნივერსიტეტს შეუძლია გააძლიეროს საერთაშორისო კვლევების მხარდაჭერა და გააფართოოს საერთაშორისო კვლევითი პროექტებისა და თანამშრომლობის დაფინანსება, მათ შორის გრანტები, რომლებიც უშუალოდ მიზნად ისახავს გლობალური პარტნიორობის ხელშეწყობას.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს უფრო მეტ კვლევით საქმიანობას პროფესორებსა და სტუდენტებს შორის. როგორც გასაუბრების შედეგები აჩვენებს, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი შესაძლებლობების პროფესიული განვითარება ზომიერად მიმდინარეობს. ფაკულტეტის განმავითარებელი ინიციატივების ზრდა და უფრო ძლიერი პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელება, რომლებიც ორიენტირებულია აკადემიური პერსონალის კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერებაზე, ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სტატუსისა და მისიის შესაბამისი სტანდარტების მიღწევას. ეს შეიძლება მოიცავდეს სემინარებს, მენტორობას და კვლევისთვის გამოყოფილ დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კვლევის სფეროს სტრატეგიული განვითარების გეგმა
- განხორციელებული და მიმდინარე პროექტები
- მემორანდუმები კვლევის სფეროში
- ალტე უნივერსიტეტის კვლევისა და სადოქტორო სწავლების დეპარტამენტის დებულება
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს

- რეკომენდებულია, საერთაშორისო კვლევების მხარდაჭერის გაძლიერება, საერთაშორისო კვლევითი პროექტების და თანამშრომლობის დაფინანსების გაფართოებით, მათ შორის გრანტების გამოყოფა, რომლებიც სპეციალურად მიმართული იქნება გლობალური პარტნიორობის ხელშეწყობაზე. - რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის განვითარების ინიციატივები და განხორციელდეს უფრო მძლავრი პროფესიული განვითარების პროგრამები, რომლებიც ორიენტირებული იქნება აკადემიური პერსონალის კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერებაზე.
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. - ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში. - უნივერსიტეტი მუშაობს კვლევითი, განმავითარებელი და შემოქმედებითი საქმიანობების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სამეცნიერო კვლევების მხარდასაჭერად და ხელშეწყობის მიზნით, ალტე უნივერსიტეტმა შეიმუშავა კვლევის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს კვლევის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, კვლევის ხარისხის ამაღლებას, ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვას, სწავლებისა და კვლევის ინტეგრირებას და კვლევის ეთიკისა და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერი გარემოს შექმნას. ამ პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოიცავს კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურას, აკადემიურ და ინტელექტუალურ თავისუფლებას, კონკურენტულ გარემოს და სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციას საერთაშორისო პერსპექტივით. პოლიტიკა ხორციელდება რამდენიმე ღონისძიებით; ესენია: კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა, კვლევის ძირითადი სფეროების იდენტიფიცირება, სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა, კვლევა-სწავლების ინტეგრაციის წახალისება, კვლევის ინტერნაციონალიზაცია და კვლევის ეთიკისა და კულტურის განვითარება.

სამეცნიერო შესაძლებლობების მხარდაჭერა და გაძლიერება უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტია და ეს პრიორიტეტი აისახება მის ყველა საქმიანობაში. სტუდენტებსა და თანამშრომლებს შორის სამეცნიერო კვლევების პოპულარიზაციის მიზნით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კვლევის მხარდაჭერის ცენტრი. მისი საქმიანობა ფოკუსირებულია სამეცნიერო გრანტების მისაღებად ძირითად კომპეტენციებზე, საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან შეხვედრების დაფინანსებაზე, სამეცნიერო საგრანტო პროექტების წერაზე, აკადემიური პერსონალის, მოწვეული თანამშრომლებისა და მკვლევრების უნარ-ჩვევების გასაზრდელად კვლევების ჩატარებაზე. აღტე უნივერსიტეტში მოქმედებს კვლევების დაფინანსების სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურები. კვლევის დაფინანსების წესი არის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც მართავს პროექტების კვლევითი აქტივობის შერჩევასა და განხორციელებას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კონფერენციებისა და პუბლიკაციების მხარდაჭერას აფილირებული და მოწვეული პერსონალისთვის. აფილირებულ და მოწვეულ პერსონალს, ასევე მკვლევრებს საშუალება აქვთ ხელი შეუწყონ მათ საქმიანობას დაფინანსების სხვადასხვა სქემით. საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო სტატიებისა და სხვა სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების გამოცემა, სამეცნიერო და კვლევითი ასოციაციების წევრობა ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ. ფაკულტეტები აწყობენ სტუდენტურ კონფერენციებს, აფინანსებენ მათ მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში და ხელს უწყობენ სტუდენტური ჟურნალების გამოცემას. ამას ადასტურებს გასაუბრება სტუდენტებთან. ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ უნივერსიტეტი აკმაყოფილებს 6.2 სტანდარტის მოთხოვნებს. უნივერსიტეტს აქვს მისწრაფება იყოს ძლიერი კვლევითი კულტურის მქონე დაწესებულება, და აქვს პოტენციალი მიაღწიოს ამას გრძელვადიან პერსპექტივაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: აღტე უნივერსიტეტის საგრანტო პროგრამა ერთობლივი კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობები და საერთაშორისო პარტნიორობთან თანამშრომლობა კამპუსის ლაბორატორიების დათვალიერება გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს
რეკომენდაციები: წინადადება (წინადადებები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
რჩევები: • სასურველია, აკადემიური პერსონალის ჩართულობით ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით ერთობლივი კვლევითი პროექტების წახალისება და მხარდაჭერა. • სასურველია, კვლევით აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის გაძლიერება და თითოეული სტუდენტის საგანმანათლებლო გამოცდილების გასამდიდრებლად და აკადემიური განვითარების ხელშესაწყობად საერთაშორისო შესაძლებლობების გამოყენება.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმები, მათ შორის პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციის პროცედურები. უნივერსიტეტი ყოველწლიურად აფასებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და შედეგების საფუძველზე ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროექტები ფინანსდება სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი დონორების მიერ, ისევე როგორც თავად ალტე უნივერსიტეტის შიდა დაფინანსებით. ალტე უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი უფლებამოსილია განაცხადი გააკეთოს კვლევით პროექტზე. არააფილირებული აკადემიური პერსონალი უფლებამოსილია კონკურსში მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი თანახმა იქნებიან პროექტი განახორციელონ ალტე უნივერსიტეტის სახელით. წარმოდგენილი პროექტის დაფინანსების შესახებ კომისია გადაწყვეტილებას იღებს შემდეგი კრიტერიუმების შეფასებით: საკვლევი პრობლემების მნიშვნელობა (მასშტაბი, სამეცნიერო სიახლე; ინტერ/მულტიდისციპლინურობა); მიზნები და ამოცანები (ჰიპოთეზები და საკვლევი საკითხები; მიღწევადობა); კვლევის მეთოდოლოგია (შერჩეული მეთოდის შესაბამისობა; მონაცემთა ანალიზის მეთოდები; ეთიკის საკითხები); შედეგების სამეცნიერო ღირებულება და გავლენა; სამუშაო გეგმის რაციონალობა და ეფექტურობა (პროცედურები, რისკების მართვა, მონიტორინგი და შეფასება); ბიუჯეტი და მომგებიანობა; პროექტის პერსონალი (კვალიფიკაცია, ჩართული მკვლევარების რაოდენობა, სტუდენტების და/ან ახალგაზრდა მეცნიერების ჩართულობა); ინსტიტუციური გარემო (ხელმისაწვდომი შესაბამისი მასალა, ტექნიკური და ინტელექტუალური რესურსები, პარტნიორი ორგანიზაციების ადეკვატურობა); შედეგების კომუნიკაცია და გავრცელება (კომუნიკაციის სტრატეგია სამიზნე აუდიტორიასთან შედეგების გასავრცელებლად, გამოქვეყნების გეგმები). ჯგუფი ასკვნის, რომ ალტეს უნივერსიტეტის კვლევის შეფასების სისტემა ეფექტურია, კვლევითი პროექტების თანამედროვე ხასიათისა და სამეცნიერო სიახლის, აგრეთვე მათი ინტერდისციპლინურობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, არსებული დაფინანსების პროცედურა ხელს უწყობს როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების ჩართულობას სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში, რომელიც მოიცავს კვლევით პროექტებს და პუბლიკაციებს Scopus-სა და Medline ცნობარებში. ამგვარად, სტანდარტი 6.3. – ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები, გასაუბრებების შედეგები და ა.შ. კვლევის კომპონენტის დაგეგმვა და შეფასება - პრინციპები და მეთოდოლოგია ალტე-ს საგრანტო პროგრამა „მეცნიერულ-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა“ გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს.
რეკომენდაციები: წინადადება (წინადადებები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად არ არის მითითებული
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსები ○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.

- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მატერიალური რესურსები საკმარისია და ადეკვატურად ხდება მათი გამოყენება პროგრამის სასწავლო მიზნების მისაღწევად. მთავარი კორპუსი არის ნაქირავებ შენობაში (დოკუმენტაცია წესრიგშია), რომელსაც აქვს ფოიე, დასასვენებელი სივრცე, საკლასო ოთახები თეორიული სწავლებისთვის, ადმინისტრაციული ოფისები, სანიტარული/ჰიგიენური წერტილები, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, უნარების ლაბორატორიები, კომპიუტერული ტექნიკის კლასები, საგამოცდო ცენტრი და OSCE ცენტრი. იჯარა განსაზღვრულია 10 წლის ვადით საჭირო დოკუმენტაციაზე ხელმოწერის მომენტიდან, რაც მოხდა 2021 წელს. შენობა მთელი თავისი ფართობით დასუფთავებულია და მოვლილია, რაც უზრუნველყოფს ადეკვატურ გარემოს სასწავლო პროცესისთვის. სივრცეები ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისთვის, მოწყობილია პანდუსები და ლიფტები, რათა სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებს წვდომა ჰქონდეთ კამპუსის როგორც სასწავლო, ასევე ადმინისტრაციულ ადგილებში. ასევე მოწყობილია სანიტარული პუნქტები სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის. ამჟამად ემატება ინვესტიციები კამპუსში ინფრასტრუქტურის განახლებისა და აფილირებულ საავადმყოფოში (ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო საავადმყოფო) სასწავლო სივრცეების მშენებლობისთვის. ადგილზე დათვალიერების მომენტში სარემონტო პროცესი ახალი დაწყებული იყო, შესაბამისად, ივ.ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო საავადმყოფოში ალტე უნივერსიტეტის სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის განკუთვნილი სივრცეების შემოწმება ვერ მოხერხდა.

საგანმანათლებლო საქმიანობისთვის განკუთვნილ გარემოს აქვს კარგი ბუნებრივი და ხელოვნური განათება, აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, თუმცა სასწავლო ოთახებში სკამები ძალიან პატარაა სტუდენტებისთვის (სავარაუდოდ ისინი განკუთვნილია საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის). ალტე უნივერსიტეტის -ის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საქმის კურსში არიან და ეტაპობრივად ჩაანაცვლებენ არსებულ სკამებს. სტუდენტები ადასტურებენ, რომ შეცვლის პროცესი დაწყებულია, თუმცა ახალი სკამებიც მათთვის ცოტა არ იყოს პატარაა.

კამპუსში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, კონდიციონერა ხელმისაწვდომია მხოლოდ ადმინისტრაციულ სივრცეებში და სასწავლო სივრცეების მცირე ნაწილში. აუდიტორიების უმეტესობა განთავსებულია შენობის მზიან მხარეს, რის გამოც ძალიან ცხელა აუდიტორიებში, სექტემბერშიც კი (პერიოდი, როდესაც მოხდა დაწესებულების დათვალიერება). ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია კონდიციონერების დაყენება, რათა სასწავლო პროცესი კომფორტული იყოს ამ ადგილებში.

კამპუსში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. თითოეულ სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები და პერსონალისთვის ტარდება პროფესიული ტრენინგები უსაფრთხოების საკითხებზე. შენობის ყველა სართულზე მოთავსებულია ცეცხლმაქრი მოწყობილობა. დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები. სახანძრო უსაფრთხოებისთვის:

- თითოეულ სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები მათი გამოყენების დეტალური ინსტრუქციით - 32 ცალი, მათ შორის 1 - წყალში და 1 - ლიფტის შახტებში.
- სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა
- სახანძრო მილები
- კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული ევაკუაციის გეგმები
- საევაკუაციო გასასვლელები
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პერსონალი
- შენობის ორივე გასასვლელ კიბეზე არის სახანძრო განათება

კამპუსის შესასვლელთან იმყოფება დაცვის თანამშრომლები და დამონტაჟებულია ვიდეო მონიტორინგის სისტემები 30-დღიანი ჩაწერის ფუნქციით.

კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია სასწავლო მიზნებისთვის, მათ შორის კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამებისთვის. სიმულაციური ლაბორატორიისა და OSCE სადგურების

აღჭურვილობა ადეკვატურია და შეესაბამება მედიცინის დარგობრივ ნიშნულებს. სტომატოლოგიის პროგრამისთვის ფანტომური თავების რაოდენობა საკმარისია სტუდენტების ამჟამინდელი რაოდენობისთვის იმ მოდელის მიხედვით, რომელსაც უსდ ახლა იყენებს (3-5 სტუდენტი ერთდროულად მუშაობს ფანტომთან), მაგრამ შესაძლოა საჭირო გახდეს გადახედვა სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დასაკმაყოფილებლად. არსებობს სამედიცინო კაბინეტი შესაბამისი აღჭურვილობითა და სამედიცინო პერსონალი სამედიცინო დახმარების გასაწევად. უნივერსიტეტის შენობაში განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრები (თითოეული გათვლილია 50 ადამიანზე). ამჟამად, ალტე უნივერსიტეტი არემონტებს იმ ფართს, რომლის სტუდენტებისთვის გამოყენების უფლებაც მისცა მათ ბოკერიას ჰოსპიტალმა. ობიექტის დათვალიერების დროს სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა ძალიან ოპტიმისტური გეგმით, რომ ოქტომბრისთვის დასრულებულიყო სამუშაოები. ეს მოლოდინი ექსპერტთა ჯგუფს არარეალურად მოეჩვენა ვიზიტის დროს ფართების მდგომარეობის გათვალისწინებით. ამან შეიძლება გამოიწვიოს რისკი, რომ კლინიკურ როტაციაზე მყოფ სტუდენტებს მოუწევთ საავადმყოფოში სიარული რაიმე დამატებითი სივრცის გარეშე, სადაც შეეძლებათ დატოვონ თავიანთი ნივთები, წაიკითხონ და განიხილონ პაციენტების შემთხვევები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები, გასაუბრებების შედეგები და ა.შ. თვითშეფასების ანგარიში. ბიუჯეტის ნაწილი ახალი კომპიუტერებისთვის. ანგარიში პროფესიულ ტრენინგებზე. შეთანხმება ახალი კომპიუტერების შესყიდვის თაობაზე. პროგრამული შეთანხმება. მემორანდუმები. GHG – კონტრაქტი. გასაუბრების შედეგები. ადგილზე ვიზიტის შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება (წინადადებები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად • რეკომენდებულია, ყველა სასწავლო სივრცეში უზრუნველყოფილი იყოს სტანდარტული ზომის სკამები ზრდასრულებისთვის. • რეკომენდებულია, ყველა სასწავლო სივრცეში უზრუნველყოფილი იყოს გაგრილების სისტემა. • რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ნებისმიერ ერთეულში, მათ შორის საავადმყოფოს სივრცეში წინასწარ დაიგეგმოს სარემონტო სამუშაოები, სასწავლო პროცესის პერიოდების გათვალისწინებით და მათთან გადაფარვის გარეშე.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

7.2. ბიბლიოთეკის რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღტე უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსები შექმნილია სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების საგანმანათლებლო და კვლევითი საჭიროებების მხარდასაჭერად. კამპუსის დათვალიერებამ აჩვენა, რომ ბიბლიოთეკა გთავაზობს მრავალფეროვან სივრცეებს, როგორცაა წიგნების არქივი, სამკითხველო დარბაზი, ჯგუფური სამუშაო ადგილები და სივრცეები, რომლებიც აღჭურვილია IT რესურსებით, როგორცაა ინტერნეტთან დაკავშირებული 21 კომპიუტერი. ბიბლიოთეკის თანამშრომლებისთვის ასევე გამოყოფილია აუცილებელი საოფისე სივრცეები და სამუშაო ადგილები. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია კვირაში ექვსი დღე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დილის 9:00 საათიდან საღამოს 9:00 საათამდე, ხოლო შაბათს 9:00 საათიდან 19:00 საათამდე. დაწესებულებამ დაწერა რეგულაციები ბიბლიოთეკის სწორად გამოყენების მიზნით და სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომია საინფორმაციო ინსტრუქციები. მომხმარებლებს წვდომა აქვთ საჭირო სერვისებზე, მათ შორისაა პრინტერები, ქსეროქსი, სკანერები და Wi-Fi. ელექტრონული კატალოგი და სამიებო სისტემა იძლევა ეფექტური წვდომის საშუალებას ბიბლიოთეკის ფიზიკური და ციფრული რესურსების უზარმაზარ კოლექციაზე (8000 ერთეული). თვითშეფასების ანგარიშში ხაზგასმულია შეძენილი წიგნების სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც, როგორც ჩანს, დადებითად იზრდება ბოლო წლებში.

უნივერსიტეტს აქვს მონაცემთა შემდეგი ბაზები: ProQuest, Scopus, ScienceDirect და ჟურნალები ფიზიკურ და ბიოლოგიურ მეცნიერებათა სფეროებში, მათ შორის ფილოსოფიური ტრანზაქციები (Philosophical Transactions) A და B, და შრომები A და B, SAGE Premier, Edward Elgar Publishing, Edward Elgar Publishing Journals and Development Studies, ელექტრონულ წიგნები, ევროპის რესპირატორული ჟურნალი (European Respiratory Journal) და მათემატიკური მეცნიერებების გამომცემლობების ჟურნალები (Mathematical Sciences Publishers Journals). ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა მონაცემთა ბაზის რამდენიმე რესურსი და დადასტურდა მათი ხელმისაწვდომობა. ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგებმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბიბლიოთეკის რესურსების რეგულარულ განახლებას, და უზრუნველყოფს წვდომას მატერიალურ და ელექტრონულ მასალებზე. ეს განახლებები შეესაბამება აკადემიური პროგრამების სილაბუსს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებს წვდომას ყველა ჩამოთვლილ საჭირო საკითხავ მასალაზე. გაირკვა, რომ ბიბლიოთეკას ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა აქვს სკოლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან და სტუდენტური გამოცდილების განყოფილებასთან მათი საჭიროებებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ბიბლიოთეკას აქვს გამოყენების თავისი წესები და სტუდენტებს EMIS მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისას ავტომატურად ენიჭებათ ბიბლიოთეკაზე წვდომა; მათ აქვთ წიგნის გატანის პრივილეგიები წიგნის ტიპის, მისი ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნის გათვალისწინებით. ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან გასაუბრებებით გამოვლინდა, რომ ისინი უზრუნველყოფენ პერსონალიზებულ სერვისებს, როგორიცაა საორიენტაციო სესიები, სამუშაო შეხვედრები, დახმარება ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების გამოყენებაში და პლაგიატის პროგრამა (Turnitin). ბიბლიოთეკის თანამშრომლები აკვირდებიან პლაგიატის გამოვლენის პროგრამის გამოყენების სიხშირეს და პლაგიატის თავიდან აცილების დონეს საუნივერსიტეტო დონეზე. დაწესებულებაში ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია QR კოდები, რათა მომხმარებლებმა შეძლონ უკუკავშირის გამოხატვა, რაც ეხმარება ბიბლიოთეკას მუდმივად მოერგოს როგორც საგანმანათლებლო, ასევე კვლევითი საკითხებით დაინტერესებული მომხმარებლების ცვალებად საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - თვითშეფასების ანგარიში - წიგნადი ფონდისა და ინვენტარიზაციის მასალების ფლობის დოკუმენტები - უნივერსიტეტის ვებგვერდი - ბიბლიოთეკის განვითარების სტრატეგია - მონაცემთა ბაზების გამოყენების სტატისტიკა - გასაუბრების შედეგები - დაწესებულებაში ვიზიტი
რეკომენდაციები: არ ეხება
რჩევები: სასურველია, ციფრული რესურსების და წვდომის გაფართოება დამატებით ელექტრონულ საბიბლიოთეკო პლატფორმებთან პარტნიორობით, როგორც არის JSTOR ან EBSCO, რაც სასარგებლო იქნება აკადემიური დისციპლინების უფრო ფართო სპექტრისთვის.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
7.3 საინფორმაციო რესურსები
უსდ-მ შექმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა არის უზრუნველყოფილი.

- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მათი მუდმივი განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები.
- უსდ უზრუნველყოფს ბიზნესის უწყვეტობას
- უსდ - ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღტე უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია ადმინისტრაციული პერსონალის, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის. ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მართვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ამ ინფრასტრუქტურის შენარჩუნებაზე, გაუმჯობესებასა და განახლებაზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ოფისები აღჭურვილია აუცილებელი IT რესურსებით, როგორიცაა კომპიუტერები, პრინტერები, ტელეფონები, სკანერები და ინტერნეტ სერვისი. ანალოგიურად, აკადემიური პერსონალის ოფისები აღჭურვილია საჭირო ტექნოლოგიური მხარდაჭერით მათი მუშაობის ხელშეწყობად. სტუდენტებისთვის გამოყოფილი შეხვედრების ოთახები, ცენტრები, ლაბორატორიები და საკონფერენციო სივრცეები აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორებითა და მიკროფონებით. საკლასო ოთახებიც აღჭურვილია კომპიუტერებითა და პროექტორებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინტერნეტ მომსახურებას შენობის შიგნით, ცალკე წვდომით ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის და სტუმრებისთვის.

ამჟამად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს 21 კომპიუტერი სტუდენტებისთვის, ხოლო საგამოცდო ცენტრი აღჭურვილია 131 კომპიუტერით. გარდა ამისა, IT სკოლაში არის ორი კომპიუტერული ლაბორატორია, სულ 27 კომპიუტერით. დამატებით მათ აქვთ კომპიუტერებითა და საჭირო ტექნოლოგიით აღჭურვილი სხვადასხვა ლაბორატორია. თუმცა, სტუდენტური კონტიგენტისა და ზრდის პერსპექტივების გათვალისწინებით, არსებული IT ინფრასტრუქტურა შემდგომ გაფართოებას საჭიროებს. გასაუბრებისა და კამპუსის დათვალიერების დროს მენეჯმენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ IT ინფრასტრუქტურაში ინვესტირება პრიორიტეტულია, დაგეგმილია დამატებითი კომპიუტერების შეძენა და ისეთი ადგილების, როგორიცაა ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორიები ახალი მოწყობილობებით აღჭურვა მომავალი წლისთვის, როგორც ასახულია სამომავლო ბიუჯეტში. სტუდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ მენეჯმენტი ითვალისწინებს მათ გამოხმაურებას და მუდმივად აახლებს და აუმჯობესებს IT ინფრასტრუქტურას, რამდენადაც შესაძლებელია.

უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა, პროცედურები და განვითარების მექანიზმები დეტალურადაა აღწერილი ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკასა და ინფრასტრუქტურის დოკუმენტში, რომელიც სრულყოფილად აღწერს IT სერვისებს, უსაფრთხოების პოლიტიკას, ქსელის მენეჯმენტს, უსაფრთხოების პროტოკოლებს, ელექტრონული სერვისების სისტემებს, ოპერაციებს და სხვას. დეპარტამენტის სტრუქტურა და ფუნქციები აღწერილია დეპარტამენტის დებულების დოკუმენტში. საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკის მართვისა და დაცვის მექანიზმები ასახულია უნივერსიტეტის ბიზნეს უწყვეტობის გეგმაში. უნივერსიტეტი გვთავაზობს ელ.ფოსტის სერვისებს request@alte.ge-ის საშუალებით, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს და პერსონალს მიიღონ დახმარება 24/7-ზე.

საგანმანათლებლო პროცესის მართვის ეფექტურობის გაზრდისა და სერვისების დიგიტალიზაციის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტი იყენებს სხვადასხვა ელექტრონულ სერვისს. აკადემიური პროცესების ავტომატიზაციისთვის, აღტე უნივერსიტეტი იყენებს EMIS მონაცემთა ბაზას (სტუდენტური პორტალი), რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მართონ ისეთი საკითხები, როგორიცაა: აკადემიური რეგისტრაცია, წვდომა პროგრამებსა და აკადემიურ კალენდრებზე, ბიბლიოთეკის კატალოგები, გადახდის შესახებ ინფორმაცია; ის ასევე ასრულებს დოკუმენტების ნაწილობრივი მართვის ფუნქციას, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს წარადგინონ სხვადასხვა სახის

განცხადებები თუ საჩივრები ელექტრონულად და გაუგზავნონ ადმინისტრაციას. აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს ასევე აქვს წვდომა იმავე მონაცემთა ბაზაზე აკადემიური პროცესების მართვისთვის. თუმცა, უნივერსიტეტი აღიარებს, რომ ეს მონაცემთა ბაზა სრულყოფილად ვერ უჭერს მხარს ყველა აკადემიურ პროცესს, შესაბამისად, ამჟამად მიმდინარეობს ახალი სტუდენტური პორტალის SIS-ის შესყიდვა და ხორციელდება მცდელობები მის დასაყენებლად. ახალი სისტემა მოიცავს 42 სხვადასხვა მოდულს, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს და ადმინისტრაციულ პერსონალს განახორციელონ დამატებითი ოპერაციები ელექტრონულად და გააუმჯობესონ ოპერაციული პროცესები, მათ შორის სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურები, გადახდები და სხვა.

ფინანსური და სააღრიცხვო ოპერაციებისთვის უნივერსიტეტს დანერგილი აქვს შესაბამისი საინფორმაციო სისტემები, როგორიცაა Oris-ის აღრიცხვისა და ბილინგის სისტემა. პლაგიატის პრევენციისა და გამოვლენის მიზნით, უნივერსიტეტმა მოიპოვა Turnitin-ის 2000 მომხმარებლის ლიცენზია, თუმცა სრული გამოყენება ჯერ არ არის მიღწეული. ბიბლიოთეკის მიერ მოწოდებული სტატისტიკა მიუთითებს, რომ გამოყენების მაჩვენებლები იზრდება. უნივერსიტეტს დადებული აქვს კონტრაქტი Turnitin-თან, რაც საჭიროების შემთხვევაში მომხმარებლების დამატების საშუალებას იძლევა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა გვთავაზობს ელექტრონულ კოლექციას და კატალოგს, რომელიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერების საშუალებით.

ამჟამად უნივერსიტეტს არ აქვს დოკუმენტების ელექტრონული მართვის სისტემა. თუმცა, მან იყიდა E-flow სისტემა, რომელიც ამჟამად იტვირთება სატესტო რეჟიმში უნივერსიტეტის შიდა არხებში. დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტი გეგმავს ტესტირების გაფართოებას გარე სამუშაო პროცესებზე.

მიუხედავად იმისა, რომ HR განყოფილება ინახავს აკადემიურ და ადმინისტრაციულ დოკუმენტებსა და ინფორმაციას ელექტრონულად და მათ შიდა EMIS მონაცემთა ბაზას აქვს HR მოდული, უნივერსიტეტს არ გააჩნია ადამიანური რესურსების მართვის უფრო ეფექტური სისტემა. HR დეპარტამენტის უფროსის თქმით, მომავალ წლისთვის იგეგმება Self.ge-სა და 360 პროგრამის შეძენა.

უნივერსიტეტი ელექტრონულად არ ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მართვასა და მონიტორინგს. თუმცა, პროცესის გასაუმჯობესებლად და სამუშაოს შესრულების ძირითადი ინდიკატორების დაკვირვებისთვის, ასევე სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნით, უნივერსიტეტმა შეიძინა ერთჯერადი სამომხმარებლო ლიცენზია Spider Impact პლატფორმისთვის, რომელიც ამჟამად ტესტირებას გადის. თუ ტესტირების პროცესი შეუფერხებლად წარიმართება, უნივერსიტეტი გეგმავს სისტემის სრულად დანერგვას.

უნივერსიტეტი ინარჩუნებს სრულად ფუნქციონირებად ორენოვან ვებგვერდს (www.alte.edu.ge), რომელიც უზრუნველყოფს აუცილებელ ინფორმაციას დაინტერესებული პირებისთვის. კონკრეტულად, ვებგვერდი შეიცავს ინფორმაციას, როგორიცაა მისია, სტრატეგიული გეგმა, ორგანიზაციული სტრუქტურა, ჩარიცხვის მოთხოვნები და პროცედურები, პროგრამის აღწერა და სწავლის შედეგები, ბიბლიოთეკის რესურსები, ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ და ფინანსური ინფორმაცია. თუმცა, ის არ შეიცავს ინფორმაციას აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესახებ.

ალტე უნივერსიტეტი ავლენს მტკიცე მზადყოფნას, რომ განავითაროს თავისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რაც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალისთვის, აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის მუდმივი ინვესტიცია ახალ ელექტრონულ სერვისებში და დიგიტალიზაციის პროცესებში ასახავს პროაქტიულ მიდგომას საოპერაციო ეფექტურობისა და მომსახურების ხარისხის გაზრდის მიზნით. მთლიანობაში, ალტე უნივერსიტეტის ამჟამინდელი IT ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებს ოპერაციულ საჭიროებებს და დაწესებულება იჩენს მუდმივ ძალისხმევას, რომ მოაგვაროს გასაუმჯობესებელი სფეროების საკითხი. უნივერსიტეტის სტრატეგიული ინვესტიციები IT ინფრასტრუქტურასა და მართვის სისტემებში ხაზს უსვამს მის

მაღისხმევას, რომ მუდმივად განვითარდეს და ფეხდაფეხ მიჰყვეს უმაღლესი განათლების საჭიროებებსა და მოთხოვნებს.
მტკიცებულება/ინდიკატორები ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და ინფრასტრუქტურა ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროექტების მართვის დებულება ბიზნესის უწყვეტობისა და რისკების მართვის გეგმა თვითშეფასების ანგარიში შეთანხმებები E-flow, Spider Impac და SIS-ის კომერციული შეთავაზებების შესყიდვის შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდი ვიზიტი და გასაუბრების შედეგები კამპუსის ტური
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე გამოქვეყნდეს ინფორმაცია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესახებ.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები საქმიანობის გასაუმჯობესებლად - სასურველია, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მუდმივი განახლება. - სასურველია, ადამიანური რესურსების მართვის და სტრატეგიული მონიტორინგის სრულმასშტაბიანი სისტემის დანერგვა.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. არ ეხება
7.4 ფინანსური რესურსი სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღტე უნივერსიტეტმა წარმოადგინა თავისი ბიუჯეტი 2023-2027 წლებისთვის, რომელიც შეესაბამება ფინანსური რესურსების მდგრადობას, ასევე უნივერსიტეტის სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებს. ბიუჯეტის დეტალური განხილვა ადასტურებს, რომ ბიუჯეტში აღწერილი ფინანსური რესურსების განაწილება ეკონომიკურად მიღწევადია და დაფინანსების წყაროები დივერსიფიცირებულია, რაც

უზრუნველყოფს რისკების ადეკვატურ და ეფექტურ მართვას. თუმცა, ამჟამად შემოსავლის ძირითადი წყაროა სწავლის საფასური და, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ გაზარდა ფინანსური დივერსიფიკაცია, კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობაა იმისა, რომ მოხდეს კამპუსის კომერციალიზაცია, საკონსულტაციო და კვლევითი საქმიანობიდან, ასევე ინოვაციების ცენტრის საქმიანობიდან შემოსავლების მიღების თვალსაზრისით.

დაწესებულება უზრუნველყოფს თანამშრომლობით პროცესს ბიუჯეტის შედგენისას, ეყრდნობა როგორც „ქვემოდან ზემოთ“, ისე „ზემოდან ქვემოთ“ მიდგომას, ითვალისწინებს საბიუჯეტო შეზღუდვებს სტრატეგიული მიზნების შემუშავებისას და მუდმივ მონიტორინგს, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა ფინანსური გეგმა მიღწევადი და რეალისტურია.

დაწესებულების ფინანსური რესურსები იძლევა სწავლის, სწავლების, კვლევითი საქმიანობის, ადამიანური რესურსების და ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების შესაძლებლობას. აკადემიური და სასწავლო ხარჯების კატეგორიაში შედის სწავლებისა და სწავლის რესურსების გაუმჯობესება, მასალები სამედიცინო სკოლისთვის, საჯარო ღონისძიებები და კონფერენციები, თემატური ღონისძიებები პროგრამების მიხედვით და ა.შ., და გარანტირებულია ყოველწლიურად მნიშვნელოვანი ზრდით – დაწყებული 500,912 ლარით 2023–2024 წლის შემოდგომის სემესტრში და გაგრძელებული 1,048,540 ლარით 2026–2027 წლის შემოდგომის სემესტრში.

ცალკე არ არის გამოყოფილი ბიუჯეტი კვლევისთვის, თუმცა ალტეს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ აუცილებლობის შემთხვევაში მათ ყოველთვის შეუძლიათ გამოიხონ სახსრები სხვა ბიუჯეტებიდან კვლევის მხარდასაჭერად. შესაბამისად, ფინანსური რესურსები სამეცნიერო საქმიანობისა და კვლევის უწყვეტი განხორციელებისთვის განიხილება შიდა საგრანტო შესაძლებლობებისა და პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობისათვის ხარჯების/წამახალისებელი ზომების პირობებში. 2023–2024 წლის შემოდგომის სემესტრში სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის ხარჯები შეადგენდა 293 283 ლარს, ხოლო 2026–2027 სასწავლო წელს 535 745 ლარამდე გაიზრდება. საგრანტო შესაძლებლობები ინტეგრირებულია 2024–2025 სასწავლო წელს 251,312 ლარის ოდენობით, 2026–2027 სასწავლო წლისთვის 367,826 ლარამდე გაზრდის პოტენციალით. უნივერსიტეტს ასევე გათვლილი აქვს მნიშვნელოვანი თანხები კონფერენციებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებებისთვის, პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილი აქტივობებისთვის, სტიპენდიებისა და სტუდენტზე ორიენტირებული სერვისებისთვის და ა.შ. ამგვარად, დაწესებულების ბიუჯეტი გამოყოფს საკმარის ფინანსურ რესურსებს სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის დასაფინანსებლად, ასევე ბიუჯეტის 0.3%-ს ბიბლიოთეკისა და მისი რესურსების გამართული ფუნქციონირებისა და მუდმივი განვითარებისთვის.

ალტე უნივერსიტეტს ჩამოაყალიბებული აქვს პასუხისმგებლობების განაწილების, ამოცანების დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების ყოვლისმომცველი პოლიტიკა ფინანსური მართვის პოლიტიკის თვალსაზრისით. ეს დოკუმენტი აღწერს ინდივიდუალური, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და მენეჯმენტის მაღალ დონეზე შესასრულებელ მოვალეობებსა და მონაწილეობის განსაზღვრულ ხარისხს. პოლიტიკის მიხედვით, ფინანსური სამსახური გადამწყვეტ როლს ასრულებს ბიუჯეტის კოორდინირებაში, მონაწილეობს მის მომზადებაში, აწარმოებს აღრიცხვას და აკონტროლებს ხარჯებისა და შემოსავლების ბიუჯეტის პარამეტრებთან შესაბამისობას. დაწესებულებაში დანერგილია შიდა ფინანსური კონტროლისა და შეფასების მექანიზმის პრაქტიკა. პოლიტიკა უზრუნველყოფს რესურსების კანონიერ, გამჭვირვალე, ეფექტურ და ოპტიმალურ განაწილებას უსდ-ის მიზნებისა და პრიორიტეტების მისაღწევად. რექტორი და დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელნი არიან ბიუჯეტის ეფექტურად მართვაზე, ასევე კონტროლსა და შიდა აუდიტზე. გარდა ამისა, უსდ ახორციელებს ფინანსურ აუდიტს უფლებამოსილი აუდიტორული კომპანიის მიერ, რომლის ანგარიშები შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებით საჯაროდ ხელმისაწვდომია.

მართვის პოლიტიკა, ასევე ბოლო წლების შესაბამისი ანგარიშები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

2023-2027 წლების ინსტიტუციური ბიუჯეტი ფინანსური მართვის პოლიტიკა უფლებამოსილი აუდიტორული კომპანიის ფინანსური ანგარიშები თვითშეფასების ანგარიში დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული შეხვედრები დაწესებულების ვებგვერდი
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან